

138
1914 1/2

საქართველოს
საზოგადოებრივი

საქართველო



1914

ნოემბერი, № 11, მოზრდილთათვის.



ნაკადული

საქართველოს
ეროვნული
კერძალი.

წიგნი მათი. ❁ სომხები, 1914 წ.

3726



ღვთისმშობელი.

წიგნების საბ. საქ. კერძალი
საქართველოს
ეროვნული
კერძალი
თბილისი

ს ა რ ჩ ე კ ი .

I—ლეთისმშობელი—სურ.	1
II—წვიმა,—დექსი ი. სახარუღიძის	3
III—დიდ ქურუმის მწერალი. — (მათხრობა კვამბტელა ცხოვრებიდან), დავ. კალასანიძის	5
IV—სვიმონა,—(ნაწვეუტები სოფლის ცხოვრებიდან) მ. ნაკას- შვილისა.	15
V—წყარო,—დექსი დ. კლიოზაშვილის	18
VI—შკატრი მეფე,—(ხალხური ზღაპარი) ჩაწერილი ანნა კახანიძისგან	20
VII—მინიონა,—(დასასრულა) მათხრობა ფონ-როდენის, თარგმ. გ. დ—ძისა	22
VIII—პატროსანი სიტყვა,—(თარგმანი) ნანო ვანაძის	34
IX—მარიამ ივანეს ასული დემურია,—ილია საკაშიძისა.	41
X—ჩვენი პოეტები. გრიგოლ ორბელიანი,— <u>ივ. კამარ-</u> <u>თელისა</u>	43
XI—ბრძოლა იდამიანისა ბუნებისთან, ნავოსნობა,—(წე- რილი შესუთე), ივ. როსტომაშვილისა	52
XII—ნაშთები,—გ. შვეფანძისა,	60
XIII—წერილი რედაქციის მიმართ	62
XIV—გასართობი:—რებუსი და გამოცანები	63





შვიმა მთაში.



ა, მიყუღდა არე-მარე,
ტყეშც ფოთლები გააქვევა,
ცის კამარა რალაც ძალმა
შავ-ღრუბლებით ააყვევა.

ფრინველებმა ხმა გაჰკმინდეს,
სიომც ფრთები შეიკონა,
მთას დუმილი ჯადოსნური
ჩაეხვია, ჩაეკონა.

ჩუ! იფეთქა!—ეს ელვია,—
ცეცხლის რხევა და კაშკაში,
დაიქვექა... ცის ცრემლებმა
ტყის ფოთლებზე შექნეს ტაში.

ტაშ... ტაშ...! ტაშ... ტაშ... მ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.შ.

წამოურტყა, აშიშინდა...

წვიმის მტვერში ტყე ამფოთდა;
წვიმის ხმაზე მთაც შეშინდა.

წყარო-ჩანჩქერ-ნაკადული
 აღვართქაფდა, დაირაზმა,
 ბარს მონაწყურს დაესხურა,
 როგორც წმინდა აიაზმა...

და უბად ცამ გაიღიმა;
 შეწყდა ელევა, ქვეა, წვიმა;
 მზემ სხივები გადმოშალა,
 მოელევიარე, შუქ-ციმციმა.


სიომ ფრთებით ბუჩქნარადან
 წვიმის წვეთი ჩამორეკა,
 მთის ფერდობზე მწყემსის ზელში
 სალამურმა შექნა რეკა;

ცხვრისა ფარა ზურმუხტ ბალახს
 თეთრ ყვავილად დაექარგა,
 ნიავემა მთას ნისლის წვერი
 ჩამოპარსა, გადაკარგა.

რა მსუბუქი ჰაერია!...
 ლურჯად ტოკავს ცის ვთერი;
 ფრინველებმაც დაპკრეს ჩონგურს,
 ამუსიკდა ყველაფერი;

მეც ბუნების წიაღში ვარ,
 სვედის სიოვ, ფრთა არ მახლოვ;
 მეც მსურს სული, მირად წყლოული,
 მის კალთებზე განვფახლო.

ი. სიხარულიძე.





დიდ ქურუმის მშენებელი.

ფარაონის მოხელე.



ქ, სადაც მთის მდინარე ატბარა უერთებს თავის თოვლიან წყლებს თეთრ და ცისფერ ნილოსისას და გაივლის მათთან ერთად კარგა მანძილსა; სადაც ლეთაებრივ მდინარის კლდიანი რიყე მოულოდ-

ნელიდ სწყდება ქორაშებად, და ამისათვის მოუშნადებელი წყალი პირქვე ეცემა და ტკივილის ნიშნად ისვრის მრავალ ცრემლს წინწყლებად, — იქ ძველად მდებარეობდა სოფელი, რომელიც ეკუთვნოდა მდიდარ მემამულეს.

ერთ დროს ფარაონის ყურ-მოქრილი შონა, — „ღვთის ხაზინადარი“*), ახლა დაჯილდოებული უზვად, ცხოვრობდა იგი ამ მყუდრო კუთხეში, როგორც ქრისტეს კალთის ქვეშ, და არ იცოდა, თუ რა ღვთის რისხვა იყო სოფლის გლეხისათვის, რომელსაც გამხდარ კისერზე ეწვა, ერთის მხრივ გამაძლარ მემამულის მადის დაკმაყოფილება, მეორეს მხრივ, — სახელმწიფო ხარჯის და ბეგარის გადახდა.

უბედური! რა იყო მისი მდგომარეობა! ჯერ არც-კი მო-

*) ამ სახელს ატარებდა ეგვიპტეში მოხელე, რომელსაც ებარა სახელმწიფო ზოძრავ ქონების გამგეობა.

უმკია, რომ დაუპატიებელ სტუმრებად სწვევიან უთვალავი მწერნი და პირს იტკიბანურებენ მის მოსავლით; არც თავგები აყრიან ყანებს ხეირსა; ღორ-მუცელა კალია ხომ ძირიანად ანადგურებს; ამის შემდეგ თუ ვადარჩა მოსავალი მემამულის ცხვარს და ჯოგებს, მაშინ საცოდავი გლეხი უნდა უფრო თხილდეს დაუნდობელ ქურდებს.

ასეთი იყო მდგომარეობა სოფელ კემის*) გლეხებისა, როდესაც მისი მყუდროება დაარღვია ფარაონის ხარჯთამკრებმა მოხელემ. იღვა თებერვალი. სოფელი მოგაგონებდა მრავალ-ფეროვან თაიგულს. ახლოვდებოდა დრო, როდესაც ბურთი და მოედანი დარჩებოდა ხაშინს**), რომელიც გულგრილად გაახვევდა ნილოსის ღელეს მტერის სუდარაში, ცასკი გახურებულ ალისფერ ნისლში. გლეხები ეჩქარებოდნენ მოემკათ ყანები და იქნევდნენ ნამგლებს უჩუმრად, თუმც ეგვიპტელები დიდი მოყვარულნი იყვნენ სიმღერისა. დაცემულნი და დაბეჩავებულნი მარადის გაჭირებით, ლატაკნი, მხოლოდ პურის ლუკმის სურვილით-ღა კმაყოფილდებოდნენ.

ხმაურობა თანდათან იზრებოდა. მოხელემ მოაღწია სინეხის სახლსაც. ქალარა-შერეული სინეხი, ერთადერთი თერთმეტი წლის შვილის ნამ-გოტების პატრონი, იძულებული იყო მარტოდ ემუშაენა ყანაში, თუმცა მკაში ნელ-ნელა უკვე შვილი შველოდა. დაღლილიყო სინეხი საშინლად, მოესნა მოკლე წინსაფარი, ჭამარზე გამაგრებული—ერთადერთი ტანსაცმელი ეგვიპტელ ღარიბ—კაცისა—და მოსვენებას ეძლეოდა, როდესაც მას თავს დაადგა ფარაონის ხარჯთამკრები მოხელე. უკანასკნელს ახლდა თანაშემწეებად ჯოგებით და ბზის ტოტებით შეიარაღებული რამდენიმე ზანგი.

მოხელეს მისვლა სინეხს ისარივით ეცა გულში: მსწრაფლ

*) კემი ნიშნავს შავ მიწას.

**) ხაშინი მწრალი ქარია, რომელიც უდაბნოდან უბერავს.



წამოხტა იგი ფეხზე. ის იყო აპირებდა მუხლი მოეტყუა წინაშე და ეთხოვნა ედროათ ხარჯის მიცემა, მაგრამ ფარაონის უღმობელმა მსახურმა აღარ დააცოლა.

— ხმა, კრინტი მოგვიშაღე უდრტვინველად ახლავე მეთელი შენი მოსავლისა, თორემ ავაქრელებინებ, მაქვს მოწყალება ჰაპისა*), მაგ შენ დამწვარ ტანსა!— ამ სიტყვებთან ერთად ხანგებმა მალლა ასწიეს თავისი გამოცდილი იარაღი.

სინები, სხვა დროს ჩუმი და ამსრულებელი ფარაონის ღვთაებრივ სურვილისა, ახლა მზად იყო უკანასკნელ წუთამდის წინააღმდეგობა გაეწია და, რადგანაც არ იცოდა როგორ, უმოძრაოდ იდგა. მაშინ ჯერ—სინების ურჩობისაგან გულოსულმა მოხელემ ანიშნა ხელით ფანაშემწეებს; ესენი ბედნიერ იყვნენ წმინდად აესრულებინათ ფარაონის წარმომადგენლის სურვილი და შეეცადნენ ბზის ტოტებით ჩაეგონებინათ მისთვის სახელმწიფო მოვალეობის ასრულება. ამ საშუალებამ ესკრა: სინები მზად იყო მიეცა არა თუ მეთელი მოსავლისა, არამედ ყველაფერი, რაც-კი ებადა, ოლონდ-კი ძირფასი სული შეგერჩინათ მისთვის. მიიღო თუ არა მოხელემ ჯეროვანი ხარჯი, დაანება აქაურობას თავი და მიაღვა ალი მეხობელს.

ამ დროს შეშინებული მომზდარ ამბით ნამ-გოტები მიმლოლიყო ძნებში. შეიტყო რა მოხელეს წასვლა, მაშინვე გამოძვრა სამალავიდან და გაექანა მამისაკენ. თუმცა სინები



3 ა 3 ი.

*) ჰაპი ნილოსის დმერთია.

მთლად მოწყვეტილი იყო ტანში და ძლიერ-და ინტენსიური
 მინც შეიმავრა თავი და ყოჩაღად უთხრა შეილოს:

— არაფერია, ნუ სწუხარ!

ნამ-გოტემა დიდიხანია იგრძნო მამის აუტანელი ცხოვრება, ამიტომაც, თუმცა არ დაიჯერა მისი სიმშვიდე, აგრედვე გარეგანი სიმშვიდით მიმართა მას თხოვნით:

— მამა, რატომ არ მიმბარებ ხარაზს: არა სჯობს განა მისი მდგომარეობა? მაშინ ხომ მეც მოგეხმარები ცხოვრებაში!

— ეჰ, შეილო! არც ხარაზია ბედნიერი! თუმცა მთელი დღე ღრღნის ტყავსა, მაინც იმდენს ვერ შოულობს, რომ თავისი მიცვალებულის სული რითიმე გაახაროს: ყვაფილით ან ხილულობით.

— მაშ კალატოზს მიმბარე! ისინი ხომ ჩვენს ტათაში არ იწვიან?



ლოტოსი.

— ეჰ, ჩემო კარგო! არც კალატოზი დაბადებულა კარს ეტლზე! მთელი დღე ქარში შეშაობს, ლავგარდანს ებლაუჭ-



ბა. თითქოს ლოტოსის*) ყვავილი იყოსო, შენობის ძეგლზე დარბის კატასავით; და ყველა ამაში რას ღებულობს? შოულობს ძლივს ლუკმა პურს, შემოიფხვრეწს ტანსაცმელს და, გულმოსული ბედ-იღბალზე, შეიღებზე იყრის ჯავრს. არა, შეიღო! იყავ შენს ქერქში! აი, წერა რომ იცოდღე, მაშინ სულ სხვა იქნებოდა: ჯანის სიმთელე, სიმდიდრე და საპატიო თანამდებობა თვით ღვთაებრივ ფარაონის სასახლეში!

საქირო ცნობები.

ამ ამბეის შემდეგ ბევრ დროს არ გაუვლია. საღამო ხანია. გულ-დათეთქილი სინეხი დაბრუნებულა უკვე სახლში. მას დასტრიალებს თავს შეუღლე, რომელსაც არ ასვენებს ქმრის სევდა. აქვეა ნამ-გოტეპიც. კუთხეს მიჰკვრია და რა-ღაცას მისჩერებია. ღრმად ჩასწედომაა გულში მამას სიტყვები სწავლის ძალის შესახებ და ფიქრობს: რა არის განა ეს წერა-კითხვა დალოცვილი, რომ ასეთ ბედნიერებას ჰგერის ადამიანს? ან ვისა აქვს ხელში ესეთი ბედნიერების იარაღი?

ვერ იტანა ქმრის დუმილი ღედა-კაცმა და მიმართა მას:

— რა იყო, კაცო, რა დაგემართა, რატომ ხმას არ ამოიღებ? გაგვისია პირი წყლით და ჩამოგვიყრია ყურები! თითქოს პირველი იყოს შენთვის ბზის ტოტების სუნხი! როგორ ვერ შეიგნე, შე ბედ-შავო, რომ გლეხი ადამიანი როდია?! ის მაინც გახსოვდეს, რომ შენისთანა უბედური მრავალია ნილოსის ღელეში, იმდენი წყალობა მომცეს მე ამონმა!

— კარგი ნუგეშია, კარგი მოგივა! მამა ჩემი იყო, არხებში ამოუვიდა სული; მე კიდევ, თუ პირამიდების შენებაში არ ჩაეკვდი, ფარაონის სასახლის მონობას არ ავცდები. ასეთია ზენი ცხოვრება, ასეთი იქნება ნამ-გოტეპისაც.

*) ლოტოსი წყლის მცენარეა: თეთრი, ცის და ვარდის ფერი.

ახლა-კი ნამ-გოტები მოშორდა კუთხეს და გაბეჭდნენ
შეეკითხა მამას:

— მამა! მითხარი, ნუ თუ ფარაონის მეტი ამ დასაქცევ
ეგვიბტეში ბედნიერი აღარაფინაა?

— ეჰ, შენი არ მიკვირს! აბა, როგორ არ არის!

— მაინც ვინაა?

— აი, მაგალითად, ამონის დიდი ქურუმი თებში.

— შერე რადა?

— იმადა, რომ ყველაზე ნასწავლი ისაა. წარმატებით
იციის ჩვენებური წერა-კითხვა.

— კიდეც რა იციის, მამავ? ეგ ხომ ცოტაა!

— ცოტა რად იქნება, როდესაც წერა-კითხვა ჩვენებუ-
რი მეტად რთული ცოდნაა, და იციის იმან, ვისაც სწყალობს
კეთილ-მყოფელი ამონი!

— კიდეც რა იციის, რა?—ეკითხებოდა ნამ-კოტები მამას
ჩაცხებით.

— რა და—ვარსკვლავთა ამბავი! იმან იციის ის დღე,
როდესაც ნილოსი—ჰაბი ნუ მოგვაკლებს თავის უხვ ძღვენს—
დაიწყობს წყალ-დილობას და მიღწევს უმაღლეს წერტილსა.

— შეხე, რა ბედნიერი ყოფილა!.. შორს არის ეგ რა-
დაც ქალაქი თებია, მამავ?

— შორს არის, შეილო, ძალიან შორს. მდინარის ქვე-
ვით! დიდი, დიდი გზაა მანამდის!

ამაზე შესწყდა ლაპარაკი.

სახლიდან გაპარვა.

ღვთაებრივი ღამეა. მისი დამშვენებული კაშკაშა მთვა-
რე თავ-მოშრონედ იცქირება ვარსკვლავებით მოფენილ ცის
კამარიდან და ვერცხლის ფრად ჰფერავს ამობურცულ ნილო-
სის სისხლის წყლებს. კარგა ხანი გასულა უკვე მას შემდეგ,

რაც დაიწყო მისი წყალ-დიდობა, და ჩაიარა ჩვეულებრივად პირველ დღეების წამხდარმა ქაობის წყალმა, რომელსაც სიფრთხილისა გამო ეგვიპტელები არა ხმარობენ სასმელად. დაუბერა უკვე ბედნიერმა ჩრდილოეთის მძლავრმა ქარმა და გადაჰბერა ფოთლებს მტვერი; გამოცოცხლდა ხელ-ახლად ყვავილ-მცენარე; დადგა ბედნიერი იენისი. მთელი ბუნება დღესასწაულობს, გახარებულთა. მოხუცნი, ბავშვნი და გარეულ ხართა ნახირი განურჩევლად ნაეარდობენ ნილოსის



ქ ა ბ რ ა .

მაგრილობელ წყლებში, რომლის ძლევა-მოსილ ზვირთებს მოაქვს თან მთვარის შუქზე ბრწყინავ ქაცვიან თევზის ფარეზი; მათ მოსდევენ მადა-აშლილ ფრინველთა გუნდნი, ათას-ფერ ბუმბულით აქრელებულნი. ეს არის ახლა დანამა ნილოსის წყალმა მშრალი ნიადაგი, მაგრამ შიგ ჰფუთფუთობენ უთვალაეი მწერნი. აგერ გაისისინა კობრამ; *) მისი ორი თეთრი ლაქა, სწორედ თავზე რომ აქვს, მთვარის შუქზე უფ-


რო მეტად ანათებს და აორკეცებს საზიზღარ ცხოველის ძალას. სანადიროდ გამოსული დამშეული ღოში კბილებს ღესვით ღმუის საშინლად, და ამ ღმუილს ეხმაურება არაბეთის მთათა ზურგი.

მთელი დღე დაღამებამდის ნამ-გოტები, სახლიდან გამოპარული, მოგზაურობს ნავით. ზის მუნჯივით გაჩუმებულნი, თუმცა გემის პატრონი ბევრჯერ შეჰკითხებია, საიდანაა

*) კობრა შამიანი ველია.



ან სად მიდის. შეიძლება მართლა მუნჯია? ან იქნება, ანუ
 დაემართა ეს უბედურება. თორემ დილით ისე მკაფიოდ წარ-
 მოსთქვა სურვილი, რომ კარგ მოლაპარაკესაც შეშურდებოდა:



ლომები.

— ბატონო? თუ დაბლა მიზევალ, მეც წამიყვანე, ჰაპი ნუ შოგაკლებს თავის მოწყალებას!

ეს იყო და ეს. ამ სიტყვების შემდეგ მას ხმა ამოუღია. ნამ-გოტები მოლად მიეცა ბუნების თვალთვალს და, მართალი რომ ვსთქვათ, ბევრი რამ ნახა საუცხოვო. აგერ ნაპირზე შეგროვილან მებადურეები და თევზს იჭერენ, მაგრამ უცებ მიანებებენ თავს საქმეს და გაინაბებიან: წყლიდან ამოჰყო თავი რაღაც საშინელმა არსებამ; ეს ზეითქია, უზარმაზარი, სქელ-ტაცვიანი ცხოველი. ნაპირზე მოესმა მას გოქის ჰყვიილი და აეშალა მანა. გამოტყუებული ღორის ხორცის ნაჭრებით საშინელება ამოძვრა წყლიდან. სწორედ ეს უნდოდათ მებადურეებსაც: ესროლეს ტალიბი თვალებში და ამის შემდეგ მოჰკლეს.



ზეითქე ბი.

დაღამდა თუ არა, გემის პატრონი გამოვიდა ნაპირზე. ნამ-გატემა გადაუხადა მადლობა და მოშორდა. ნაპირს. აქ, როგორც იყო, გამონახა ლოტოსი, მოსწყეიტა რამდენიმე ნაყოფი, რომელიც ფუტკრის ფიტს მოგაგონებდა, და საკმაოდ შენაჯრდა მის ზეთის ხილის კურკის ოდენა მარცვლებით. ნამ-გატემა ახლა ის აფიქრებდა, როგორ გაეატარო ღამეო. გამონახა ახლოსვე ბებერი ღვეღვის ხე და ავიდა ზედ. ნამ-გატემა აპირებს ძილს, მაგრამ აგონდება, რომ იცის ზეპირად ლოცვის ნაწყვეტი, და იძახის:

„დიდება შენ, ნილოსო! დიდება შენ, რამეთუ მოველინე ქვეყნად, რომ ევგიპტესთვის სიცოცხლე შთაგებერა... შენ

ყველა თვალს უშრობ კრემლებს და შენს ბედნიერებს გულ-
უხვად ჰფანტავ...
საქართველოს

ლოცვის შემდეგ ნამ-გოტემა, მოგზაურობით მოწყვეტილ-
მა, დახუჯა თვალები ტ ჩაიძინა, მაგრამ შწარე იყო იმისი ძილი.

— ხა—ხა—ხა!—დაიჩხავლა ამ დროს კაქკაქმა.

ნამძინარე ნამ-გოტეს მისი ხმა ეჩვენა საშინლად, და-
აქყიტა თვალები და ეგონა, რომ მას თავს დაეცა ცხვირ-
კავიან საღმართო იბესთა გუნდი, რადგან უნდა დაჰსაჯოს

სახლიდან გამოპარვისათვის და მშობლების მწუხარებისათვის



ი ბ ე ს ი.

შეიღოს დაკარგვის გამო. ამ დროს კორ-

დი, რომელზედაც მოთავსებულიყო ნამ-

გოტემა, უცბად განათდა, რადგან მთვი-

რემ დაახწია თავი შავ ღრუბლებს, და

აქვე მუდომმა კაქკაქმა ხელ-ახლად ვაღი-

ხარხარა. თურმე, ნუ იტყვი, ადამიანს

აჯაერებდა... ნამ-გოტემა ჩაიძინა ისევ,

მაგრამ არც ეს ძილი იყო ხანგრძლივი:

ახლა მოესმა მას დაწყვეტილ კობრას

სისინი; გააბილა თვალები და ნახა, იქვე

დაფრინაედა ბკყვრილა კია-სკარაბეი.

სწორედ მისი ბზული ეჩვენა ძილში გველის სისინად.

— დიდება შენ, ნილოსო! დიდება შენ!—გაიმეორა ნამ-

გოტემა. ამ დროს მას მოესმა ძაღლების ყეფა; გაიფიქრა,

რომ ადამიანი ახლო ყოფილა, და ცოტა დამშვიდებულმა

ჩაიძინა...

გაიარა ლამემ... ნამ-გოტეს სძინაეს და ძილში ჰხედავს

საზარელ სიზმარს: მისცურვია ახლოს უზარ-მაზარი კობრა და

მისჩერებია თავისი ქვეტია თვალებით. ველარ გაუძლო მათ

ნამ-გოტემა. გაინძრა, ერთი შეჭკივლა და დააქყიტა თვალე-
ბი. თურმე, ნუ იტყვი, დიდი ხანია ამოსულიყო მზე და მოს-
დგომოდა მის სახეს თავისი მწვავი სხივებით.

დავ. კილოსანიძე.

(დასასრული იქნება).





ს ვ ი მ ო ნ ა .

(ნაწყვეტები სოფლის ცხოვრებიდან).



ღე და ლამე იყრებოდა. დღიური საქმეებით მოქანცული ღღე დასასვენებლად მიდიოდა. მზის სხივების ადგილი მთვარესა და ვარსკვლავებს უნდა დაეჭირათ.

მთვარიანი კაშკაში ღამეა. სოფელზე მოშორებით, შორს, ტრიალ მინდორზე ყანას ურემს უდებენ. გოლა ბადალაშვილი ქვევიდან ურემზე ზედი-ზედ ეაერის ძნას თავის ძმას სვიმონას. ეტყობა დღის მუშაობას ვერ დაულაღავს შრომის შვილი: სვიმონა ღინჯად და აუჭქარებლად უდებს საძნე ურემს.

ტყუილად ზომ არ ამბობენ სოფელში, რომ სვიმონა ურემს ისე უდებს, თითქოს ეკლესიას აშენებსო. მისი კობტად დადებული აკვანივით შეკრული ურემი მოდის ნელ-ნელა და ირწყევა. მე გითხრა—სხვასავეთ გვერდზე-ქალ მხარეზე არ მოუვიდეს მეტი და არ გადაუბრუნდეს გზაში ურემი.

გვრიტია და გორგალა კამეჩი ცოხნით მოდიან და აქეთ უზარმაზარი საბჭელივით ურევი. ეტყობათ—არ უჭირდებათ, რაკი გზა სწორი აქვთ.

კამეჩებმა ცოხნა შეაჩერეს. ყურები ცოტა წინ წამოიწიეს; ალბად ამათაც უნდათ ყური დაუგდონ თავისი პატრონის ტკბილ სიმღერას და დასტკბნენ მისი სმენით.

ღამის სიჩუმეში შორიდან მშვენივრად მოისმოდა სვიმონას ურმული სოფლის თავში. სოფელში-კი თითქოს ძაღლები-კი ყურს უგდებდნენ ამ ტკბილ ხმას და აღარა ჰყეფდნენ.

— ღმერთო, რა მშვენივრებაა; რა სჯობია სოფლის ცხოვრებას! სვიმონა, ჩვენი სვიმონა, როგორ არაკრავებს ზარივით ხმას. ნეტავ დიდხანს იმღეროს, არ გაჩუმდეს მალე. მოსვლით-კი ჯერ მალე ვერ მოვა. დამეა და შორეული ხმა ახლო შეჩვენება.

რასა მღერის ნეტა? აბა დაუგდო ყური, ეგებ სიტყვებიც გავაჩიო. ჰო, აგერ რასა მღერის:

„სხვათა მოჯამავირობას ადვილად იტყვის ენაო;
 დილიდან საღამომდისინ არ მქონდა მოსვენებაო;
 დილით ძროხაში მგზავნიდნენ, საღამოთ—ლორისკენაო;
 ქორ-მეძებრებს თან მატანდნენ, ხომ ინადირებ შენაო.
 თუ კურდღელი დაიჭირო, ხორცი ჩვენ, ტყავი—შენაო.
 და თუ მელისა დაიჭერ, ტყავი ჩვენ—ხორცი შენაო.“


— საწყალი სვიმონა! როგორ ეტყობა, რომ მოჯამავირობა გამოუვლია და მისი სიმკაცრე დღემდისაც ვერ დაუვიწყნია.

დღეს სვიმონა ერთ შეძლებულ გლეხკაცად ითვლება: მშვენიერი, ორ-სართულიანი ქვიტკირის სახლი, გუთნეული ხარ-კამეჩი, 20—30 დღის მიწა. მშრომელ და გამრჯელ სვიმონას დიდ ოჯახს არა უშავს რა, კარვად აცხოვრებს.

ვლექციის კვალობაზე; ბედნიერად სთვლის თავის თავს ალბად, და აი ამიტომ ტკბილად მოღიღინებს, თუმცა ამ ტკბილ ღიღინში ძველ, განვლილ სიმწარესაც არ ივიწყებს და თავის სიმღერაში აქვს ჩაქსოვილი. — «დილიდან საღამომდისან არ მქონდა მოსვენება».

დილიდან საღამომდის არც ახლა აქვს მოსვენება, მაგრამ რა შედარებაა? უწინ თუ «ეშმაკის მუშა» იყო და არ იცოდა, თუ ვისთვის და რისთვის მუშაობდა, დღეს მან კარგად იცის, რომ თავისი საყვარელი ოჯახისთვის მუშაობს, და ბედნიერია.

ნ. ნიკოსშვილი.





წყარო.

სამ გულ-მკერდი ვადაიხსნა,
ღრუბელთ ხროვას დასცა ხარი;
აქანკალდა შავი ნისლი,—
მზეს გაულო ფართედ კარი.

აპრიალღა არე-მარე,
ახმაურღა შინდორ-ველი...
ისმის მღერა... ჰხარობს ყვეღა —
უსულო და სკლიერი.

კლდით გადმოსკღა ანცი წყარო,
მოლიკლიკებს, მოჩქრიღლებს;
თვის ნაშეფებს შზის სხიფებზე
თვალ-მომქრეღად აბქყერიღლებს.

გვერდით ურბენს ყაყაჩოებს,
იას ჰკოცნის, ეკონება...
ხან ბუტბუტებს,—თვის ნაპირებს
რაღაც ზღაპარს ეღუნება.

ხან დაიწყებს მწარედ კენესას,
აიმღვრევა, აქათღება;—


კლდის ნაპირებს თავგანწირვით
შეებროლოვის, შეასკდება.

ხან ასეა, ხან ისეა—

უსვენებლივ მიჰქრის წყარო;
საამოა მზერა მისი,
საამო და სანეტარო!..

დ. ელიოზიშვილი.





მკაცრი მეფე.

(ზღაპარი სოლომონ ჯვარაშვილისაგან გაგონილი.)



ერთი მკაცრი მეფე იყო. ვინც-კი მივი-
დოდა მასთან რაიმე საქმისთვის, ან საჩი-
ვლელად, მეფე გაუწყობდა, — როგორ
გაბედე ჩემი შეწუხებაო; მაშინათვე უბ-
ძანებდა ვეზირს წაეყვანა და თავი მოე-
კვეთა ამისთანა კაცისათვის.

ერთხელ მოვიდა მეფესთან ვიღაც
ვლენი და იჩივლა, ჩემმა სახლი-კაცმა მამული წამართვა და
სამართალი მიბოძეთო. მეფემ უბრძანა ვეზირს ეს თავებდი
ბრიყვი წაეყვანა და თავი მოეჭრა. გლეხი შეშინდა და მოა-
ხსენა: — მეფევე, ნუ მომკლავ; მე ყველა ფრინველის ენა
ვიციო.

მეფეს გაეზარდა და უბძანა ვეზირს გლეხი თავისთან
ჰყოლოდა, იმ დრომდღე, სანამ რამდენიმე ფრინველის ენას
წივსწავლიდა.

ვეზირმა გაიყვანა გლეხი კარში და უთხრა: წადი, შეი-
ლო, რაც შენ ფრინველთა ენა იცი, დიდი ხანია მეც ვიციო.
ნეტავი ყველამ ამისთანა უნარს მიჰმართოს და სიკვდილს გა-
დაარჩინოს თავიო.

შეიღი თვის შემდეგ მეფე და დედოფალი ერთ საღამოს
სასახლის ბაღში ჩავიდნენ და იქ დასხდნენ მშვენიერ სამეფო
ფანჩატურში. გაღმა-გამოღმა ნასოფლარიდან, რომელთაც
მდინარე ჰყოფდა, კოტების ხმს ისმოდა. მეფე-დედოფალმა

რომ ეს ხს ხმა გაიგონეს, დაიბარეს ვეზირი და ჰკითხეს: — იმ ფრინველთა ენების მკოდნე კაცისაგან შეისწავლე თუ არა ფრინველთა ენაო?

— დიახ, — მიუგო ვეზირმა.

— მაშ აგვიხსენი — ის კოტები რას იძახიან, რას ამბობენო, — უთხრა მეფემ.

— ახლავე მოგახსენებთ; გაღმა რომ კოტი იძახის — მამაკაცია, შვიდი ქალი ჰყავს გასათხოვარი; გამოღმა კოტი — ქალია, შვიდი ვაჟი ჰყავს საქორწილო. ვაჟების პატრონი ეუბნება ქალების პატრონს: „თუ შენ ქალებს შვიდ-შვიდ ნასოფლარს მისცემ მზითვად, ჩემ ვაჟებს ცოლად შევერთავო.“ ქალების პატრონი უპასუხებს: „ქალი ხარ, თორემ ამ სისულელეს არ იტყოდით. შვიდი ქალი მყავს გასათხოვარი; თითოს რომ შვიდ-შვიდი ნასოფლარი მიეცე, სად იქნება იმდენიო?..“ ვაჟების დედა დასცინის: „ვატყავი ხარ, მაგრამ მე შენზე მეტი ჭკუა მქონიაო. თუ ჩვენ მეფე შარვანგს დღე გაუგრძელდა, ხალხს სულ გასწყვეტს და ნასოფლარები არ დარჩებაო?“

მეფეს ეწყინა: განა მე ისეთი უსამართლო ვარ, რომ ხალხის გამრავლების მაგიერ მინდა ნასოფლარებად გადავაქციო ქვეყანაო?

— მეფე, — მიუგო ვეზირმა: — მე ხომ არ მოგახსენებთ, უსამართლო ბრძანდებით — მეთქი. რასაც კოტები ამბობენ — მხოლოდ იმას ვიმეორებ.

ამის შემდეგ მეფე ღმობიერი შეიქნა და კაცის სიცოცხლეს აღარ შეჰხებია.

ანნა კახანაძე.





მ ი ნ ი ო ლ ნ ა .

(დასასრული).

XII

ბატონი კებერლე და მისი წარმოდგენები.



ამდებოდა, როცა ბატონი კებერლე თვის დასით ქალაქ ეიზენახს მიუახლოვდა. უნდა გაველოთ მთელი ქალაქი, რომ იმ ადგილისთვის მივლწიათ, სადაც ბაზრობა იმართებოდა. აქ ყველაფერს სიცოცხლე ეტყობოდა. ყველა ფუსფუსებდა, საქმიანობდა, მომავალი ვაჭრობისათვის ემზადებოდა. ტკბილეულობით მოვაჭრენი ქებით იხსენიებდნენ თავიანთ საქონელს და იწვევდნენ მყიდველთ. „კარუსელის“ გარშემო, რომელიც ჯერ არც-კი გაემართნათ, აუარებელი ხალხი ირეოდა. ზოგ ვაჭართაგანს მიეტოვებინა ღუქანი და მინდორში გაჩაღებულ ცეცხლზე ვაზშაშს ხარშავდა.

ბაზრის შუა ალაგას იდგა ცალ-ხელია კაცი და არღანს აქყვიტინებდა.

აი, ამ ბაზარში გაჩერდნენ ჩვენი მგზავრებიც. კებერლემ დაიჭირავე ერთი ბატარა ფარდული ღ შეუდგა მოწყო-

ბა-მოთავსებას. ის ჩქარობდა, რომ არ მომცდარიყო და მერე დღიდანვე წარმოადგენები დაეწყო.

მინიონა იღვა და უყურებდა, როგორ გადაჰყავდათ ცხოველები ფურგონიდან ფარდულში. პონი კარებთან მიბნეს, რომ ხალხი დაინტერესებულიყო და წარმოადგენებს ბლომად დასწრებოდა.

მეორე დღეს კებერლემ გამოაკრა ვანცხადებანი, რომლებზედაც სხვა-და-სხვანაირად იყვნენ გამოხატულნი საჩვენებლად მოყვანილი ცხოველები. ნაშუადღევს დაიწყო წარმოდგენები. ქალბატონი კებერლე ბავშვით ხელში იჯდა შესასვლელ კარებთან და ჰყიდდა ბილეთებს.

გავიდა რამდენიმე დღე. კებერლეს იმდენი საქმეები ჰქონდა, რომ ვერ მოასწრო პოლიციისათვის გამოცხადებინა— დაკარგული ბავშვი ვიპოვე და მოუარეთო. მთელი დღე „არტისტების“ მოვლას უნდებოდა. ხან აქმევდა მათ, ხან ჰბანდა, ხან წვრთნიდა და ხან რა.

გადიოდა ერთჟეროვანი დღეები მინიონასათვისაც.

ზშირად იგონებდა ბავშვი კეთილ ქრისტინეს, მაგრამ მებულკეს ოჯახში დაბრუნება ფიქრადაც არ მოსვლია. მინიონა თავს ბედნიერად ვერც ახლა გრძნობდა. მართლია—ისე ძალიან აღარ აწვალებდნენ, მაგრამ ვერც ეს მოუსვენარი, უწყსრიგო ცხოვრება აკმაყოფილებდა: ცუდად მოქმედებდა მასზე ჩხუბი და ლანძღვა-ვინება, რაც ზშირი მოვლენა იყო კებერლეს ოჯახში. პატარა ფრანციკ კი ისე ილიანძლებოდა, გეგონებოდათ—ქუჩის ბიჭიო.

წარმოდგენებიც ძლიერ აღელვებდნენ მინიონას. ის ხედავდა—სულ უბრალო შეცდომისთვისაც-კი ცხოველებს სასტიკად სჯიდნენ. „მადამ პომპალური“ მისი დიდი მეგობარი შეიქნა. მისი თამაში ყველაზე უფრო მოსწონდა მინიონას. ასეთი გონიერი ფრინველი ჯერ მას არ ენახა.

ჩააცმევდნენ ძალღს გრძელ-კუდიან კაბას, დახურავდ-

ნენ მრგვალი შლიაბის და უბრძანებდნენ, რომ დასტავროს უკანა ფეხებზე და ისე ეელო. ფრაკში გამლწყობილი მიიმუნი გამოდიოდა მოსამსახურის როლში და დიდის მოწიწებით მიართმევდა „მადამ პომპალურს“ თეფშზე დაწყობილ პურსა და ხორცს. ხანდახან ველიარ მოითმენდა და თვითონაც სწვდებოდა ხორცს, მაგრამ მაშინვე მოისმოდა კებერლეს ხმა: „ბატონო ეაკი, რას სწალიხართ? მიართვით ჩქარა თქვენს ქალბატონსა“-ო. ბატონი ეაკიც იხევდა უკან და ისევე ისეთი ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე ხდებოდა.

უკანისკენლად გამოჰყავდათ ცხენები (პონები). ესენი წარმოდგენის სული და გული იყვნენ. პატარა ფრანცი ხან ერთზე შეჯდებოდა, ხან მეორეზე და ბევრნაირ თვალთმაქცობას უჩვენებდა მაყურებელთ, რისთვისაც მას ყოველთვის ტაშით აჯილდოებდნენ.

ერთხელ მინიონა და ფრანცი მარტო დარჩნენ. კებერლეს მაგიდაზე დარჩა სკრიპკა, რომელზედაც რეპეტიციის დროს უკრავდა ხოლმე.

სკრიპკის დანახვაზე მინიონას თვალები გაუბრწყინდა. მან სტაცა ხელი საყვარელ იარაღს და დაიწყო დაკრა. ფრანცს ისე მოეწონა მინიონას დაკრა, რომ სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა და დაიყვირა:

— კიდევ, კიდევ დაუკარა! შენ მამაზე კარგად უკრავ!

— მართალია, მართალი, — შემოსძახა კებერლემ, რომელიც თურმე კარებს იქიდან უგდებდა ყურს მინიონას.

კებერლე მაშინვე გაექანა ცოლისაკენ და მზიარულად უთხრა: „ნაპოენი ბავშვი ჩვენთან უნდა დარჩეს, ნურავის მივსცემთ მას.“

— ეი, მაგრამ — რომ გაგვიგონ? ხომ იცი — პოლიციას ხუმრობა არ უყვარს.

— საქმე არა გაქვს, ვის რა ხელი აქვს? — ვის რაში უნდა ობოლი ხომ არ მოგვიპარავს, ქუჩაში ვიპოვეთ. რა-



საკვირველია, თუ შშობლები გამოჩნდებიან, რაღა გვეთქმის, მოვლენ და წაიყვანენ თავიანთ შვილს. ჯერ-ჯერობით-კი ამ ბავშვის საშეალებით ფულს ვიშოვით. ყური დამიგდე, რა ვითხრა: ბავშვი ძალიან კარგად უკრავს სკრიპკაზე; ვასწავლი ცხენზე ჯდომას ისე, რომ თან სკრიპკაზედაც უკრავდეს. ჩინებული რამე იქნება. არავის უნახავს ჯერ ასეთი რამე. შენ რას იტყვი?

ქალბატონი კებერლე დაეთანხმა ქმარს. მინიონა მაშინვე შესვეს ცხენზე და დააწყებინეს ვარჯიშობა. დაიძრა თუ არა ცხენი, ბავშვი შეტორტმანდა და ცხენიდან ვადმოვარდა.

— მაგრად უნდა იჯდე! — დაუყვირა კებერლემ ბავშვს და ხელში აღვირი მისცა. აი, მარჯვენა ფეხი ასე უნდა შესდგა, მარცხენა — ასე; აღვირსაც მაგრად ჩაჰკიდე ხელი. ამის შემდეგ თუ ჩამოვარდნილხარ, არ ვიცი რას გიზამ!

მინიონა იმდენად შეეჩვია ცხენზე ჯდომას, რომ აღარ ვარდებოდა: ახლო აღვირიც გამოართვეს ხელიდან და ცხენს ისე დაუწყეს ტარება. ეს უფრო ძნელი იყო, მაგრამ სხვა რა გზა იყო?

— თუ სამ დღეში არ გავარჯიშებულხარ, კისერს მოგი-გიგრებ, — უთხრა კებერლემ მინიონას და თან ისე შეხედა ბავშვს, თითქო ეს არის მუჭარა ახლავე უნდა შეასრულოსო.

მართლაც — სამ დღეში მინიონა ისე გაიწაფა, რომ იჯდა ცხენზე და სკრიპკაზედაც უკრავდა.

— დღეს საღამოს ნაპოვნე ბავშვის მონაწილეობით უნდა გავმართო წარმოდგენა, — უთხრა ერთ დღეს კებერლემ ცოლს და გააკრა განცხადება: „სრულად ახალი წარმოდგენა. ასეთს ვერ არავინ მოსწრებაა. ჰატარა ქალი მინიონა მკარანი შეასრულებს კონცერტს, ცხენზე მჯდომადე! ეს იტალიური გვარი იმიტომ გამოუგონეს მინიონას, რომ მეტი ხალხი მოეზიდა.

კებერლე არ მოსტყუვდა. ასეთმა არა-ჩვეულებრივმა განცხადებამ დიდძალი ხალხი მიიზიდა. ფარდული ხალხით აივ-

სო. მაყურებელნი მოუთმენლად მოელოდნენ პატარა მსახიობის გამოსვლას. ბოლოს მოვიდა მინიონას ჯერიც. ის ხელჩაკიდებული გამოიყვანა კებერლემ. ბავშვს ეცვა მოკლე ვარდისფერი კაბა, თავსკი ვარდებისაგან გაკეთებული გვირგვინი უმკობდა.

მინიონამ შორცხვად მიმოავლო თვალი ხალხით საესე არეს და ყველას უურადღება მიიბყრო. ცხენზე ჯერ არცკი შემეჯდარიყო, რომ გაისმა ალტაცებული ტაში.

— ანგელოზს არა ჰგავს, — ჩაილაპარაკეს დედებმა და ზოგ მათგანს თვალეტიცკი აეცრემლა. მინიონა თვისი სილამაზითა და სინაზით ისეთი მიმზიდველი იყო, რომ გულ-ქვა ადამიანსაცკი მოალობდა.

— ნუ გეშინია, ნუ შორცხვობ, თამამად აყავ, — უჩურო ჩულა კებერლემ ბავშვს და ცხენს ოდნავ შემოჰქრა.

პირველად მინიონა გაუბედავად უკრავდა, მაგრამ თანდა თან უფრო გათამამდა და ჩქარა სკრიპკის ტუბილმა ჰანგებმა მთელი დამსწრე ხალხი დაიმონავა. მინიონა ხომ უბრალო დამკვრელი არ იყო. როცა ის სკრიპკას აიღებდა, მთელი ქვეყნიერება ავიწყდებოდა. ასე მოხდა ახლაც. დაავიწყდა, რომ ამოდენა ხალხი უცქერის, ელოდება; არც ის ახსოვდა, რომ ცხენზე იჯდა. მუსიკამ ის გადააფრინა შორეულ წარსულში: აი ოთახი, რომელშიაც ისა და მამა მისი ცხოვრობდნენ. აი, საყვარელი მამა სდგას მის წინაშე და აპობს: «დაუჯარი, შეილო, დაუჯარი — დიდებული მემუსიკე გამოხვალო.»

მინიონამ გაათავა დაკვრა. მაყურებელთა ალტაცებას და ტაშის კვრას საზღვარი აღარ ჰქონდა. კებერლე ხომ ნეტარების ზღვაში სცურავდა. ანგარიშობდა, თუ რამდენად გაიზრდება იმისი შემოსავალი მინიონა მაკარონის წყალობით. მაგრამ ეს ალტაცება ხანგრძლივი არ გამოდგა, და აი რა მიზეზით. ერთმა მაყურებელთაგანმა — ბავშვმა მინიონას ესროლა

ფორთოხალი. ფორთოხალი მოხედა ცხენს, ცხენი დაფრთხა და ყალყზე დადგა. მინიონამ დაიკივლა და ცხენს ფაფარში ხელი წაავლო. დაკივლებამ კიდევ უფრო შეაშინა ცხენი და გაქენდა. სანამ კებერლე მივარდებოდა და ცხენს დაიჭერდა, მინიონა უკვე მიწაზე ეგდო და ტკივილებისაგან კენესოდა.

შემთხვევით მაცურებელთა შორის აღმოჩნდა ექიმი, რომელიც დაუყოვნებლივ გაეჭანა დაშავებულისაკენ.

— ფეხი აქვს მოტეხილი—სთქვა ექიმმა, როცა მინიონა გასინჯა.—სთქვით, სად უნდა მოათავსოთ ბავშვი?

კებერლეს თავხარი დასცა ასეთმა შემთხვევამ. გაპქრამისი ტკბილი ოცნება. ფულის მოგება-კი არა, პირიქით ხარჯებიც მოეღოს: დასახიჩრებულ ბავშვს ექიმობა მოუნდებია. ამიტომ ექიმის კითხვაზე მან პასუხი არ ვასცა. სამაგიეროდ იმისი ცოლი წამოდგა წინ და განაცხადა:

— წაიყვანეთ ბავშვი საავადმყოფოში; ჩვენ არ შეგვიძლია ბარგად ავიკიდოთ ის.

— განა ეგ ბავშვი თქვენი არ არის?—პკითხა მას ექიმმა.

— რასა ბრძანებთ! ეგ ბავშვი ტყეში ვნახეთ; შეგვებრალო და წამოვიყვანეთ. თუ ჩვენ არა, დაიღუპებოდა საბრალო. ბერს ვეცადეთ, მაგრამ ვერ გავიგეთ—ვისია, ან სადაური. დღეს-კი პოლიციაში უნდა გამოგვეცხადებინა.

კებერლე ძალიან კმაყოფილი დარჩა ცოლის ასეთი მოხერხებული პასუხით. ექიმმა ასწია მინიონა და შეეცადა ბრბოს გარღვევას და ბავშვის გატანას.

ბრბოდან გამოეყო ერთი ხანში შესული მანდილოსანი შევებში და უთხრა ექიმს:

— ჩასვით ბავშვი ჩემს ეტლში. წავიყვან სახლში და მე მოეუვლი. აბა, შეხედეთ—თუ ჩემ განსვენებულ ბერტას არა ჰგავს. იმასაც სწორედ ასეთი დიდრონი და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა.

მინიონა ფრთხილად ჩააწვინეს ეტლში. ექიმიც მოუჯდა ავადმყოფს და ეტლი დაიძრა.

მინიონა მოათავსეს დიდსა და მალალ ოთახში, რამდენსა ფანჯრები გაიყურებოდნენ საუცხოოდ ვაშენებულ ბაღში. გემი შეუდგა დაშავებულ ფეხის შეხვევას.

ქალბატონ ბრაუნს, (ასე ეძახდნენ იმ ქალს) გადაწყვეტილი ჰქონდა ბავშვის თავისთან დატოვება, მაგრამ ჯერ უნდოდა გაეგო ჰყავს მას მშობლები თუ არა. დასარწმუნებლად მან რამდენჯერმე გამოაცხადებინა ვახეთებში.

პატრონი არაეინ აღმოჩნდა, და ქალბატონი ბრაუნიც დამშვიდდა. მინიონაც ბედნიერად გრძნობდა თავს კეთილი დედობილის ხელში, რომელიც არაფერს აკლებდა მას.

როცა ბავშვმა მოიკეთა, დიდი გულ-მოდგინებით შეუდგა წერა-კითხვასა და სხვა-და-სხვა საგნების შესწავლას, მაგრამ ყველაფერზე უფრო ის ასულდგმულვებდა მინიონას, რომ ჩქარა სკრიპკას უყიდიდნენ და საშვალეება მიეცემოდა ისევე დაბრუნებოდა თავის საყვარელ მუსიკას. ქალბატონი ბრაუნი-კი ჯერ-ჯერობით სდუმდა, თუმცა დიდი ხანია იცოდა, რომ მინიონას დიდი მუსიკალური ნიჭი ჰქონდა.

შემოდგომამზე, როცა ქალბატონი ბრაუნი სატახტო ქალაქში გადასახლდა, მოიწვია ნაცნობი განთქმული დამკვრელი, რომელმაც დაადასტურა მინიონას ნიჭი. მაშინ ქალბატონი ბრაუნი მოელაპარაკა ერთ გამოჩენილ პროფესორს და მიაბარა მას მინიონა.

დასკვნა.

გავიდა რვა წელიწადი. პატარა მინიონა უკვე დიდი ქალი და საკმაოდ ცნობილი დამკვრელი შეიქნა. ქალბატონი ბრაუნი ამყობდა თავის სასიქადულრო შეილობილით და როცა მინიონა სხვა-და-სხვა ქალაქებში კონცერტის ვასამართავად გაემგზავრებოდა, თვითონაც თან ახლდა ხოლმე.

სხვათა შორის მინიონა მიიწვიეს კონცერტზე თავის

მასწავლებელ პროფესორითურთ ქალაქ ფრანკფურტში, სადაც ოდესღაც ისე უბედურად გრძნობდა თავს. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ცხოვრების უღმობელმა პირობებმა მიატოვებინეს ეს ქალაქი და რვა წლის განმავლობაში იმდენად დაევიწყდა ის, რომ სახლსაც ძლივს იგონებდა.

ღამდებოდა, როცა ქალბატონი ბრაუნი და მინიონა ქალაქში შევიდნენ. დაბინადნენ სასტუმროში, საბაზრო მოედნის ახლოს. მეორე დღეს დილით მინიონა გამოვიდა აივანზე და დაუწყო თვალღერება იმ არე-მარეს, სადაც ბავშვობის მწარე დღენი გაატარა. ერთ მოგონებას მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე, და ახალგაზდა ქალი გაება მოგონების ქსელში. აი ქა, აი კუთხის სახლი, რომელთაც ასე კარგად იცნობს; ეს ხომ მებულკეს სახლია, დიალ, აი გამოკიდული ფიცარი ზედ-წარწერით: „მებულკე ბუც“. მინიონა შებრუნდა სახლში და თავისი ფიქრები დედობილს გაუზიარა. უამბო აგრეთვე ქრისტიანებს შესახებაც და სთხოვა დახმარებოდა მას ამ ძვირფასი ადამიანის მოძებნაში.

ქალბატონმა ბრაუნმა სიამოვნებით შეასრულა შევილობილის თხოვნა და გავიდნენ ერთად ქალაქში. მიუახლოვდნენ მებულკეს სახლს. მინიონა არ შესულა შიგნით.—ან რა გულით უნდა შესულიყო იმ სახლში, სადაც იმდენი ტანჯვა-წვალება გამოიარა. ქალბატონი ბრაუნი შევიდა სავაჭროში. მებულკეს ცოლი თავისებურად იჯდა ფანჯარასთან და წინდასა ქსოვდა. მას სამგლოვნარო ტანისამოსი ეცვა. სევდა და დარღისგან სახე დანაოკებოდა.

მან გაკვირვებით და ცნობის მოყვარეობით ახედ-დახედა მდიდრულად მორთულ ქალს, რომელიც დაეკითხა მას ქრისტიანებს შესახებ და გულ-მოსულად უპასუხა:

— დიდი ხანია გათხოვდა. საკუთარი ბულკის სავაჭრო ოქეს რიყის ქუჩაზე.

ქალბატონი ბრაუნი და მინიონა მაშინვე ჩასხდნენ ეტ-

ლში და გასწიეს დასახელებულ ქუჩისაკენ, როცა ეტლი
ქრისტინეს სახლთან გაჩერდა, ქრისტინე კარებში იღვა. მი-
ნიონამ მაშინვე იცნო ის: გაღმობტა ეტლიდან და მოეხვია
ყმლზე.

— ქრისტინე, ძვირფასო ქრისტინე, ვანა დაგავიწყდი?
ველარა სცნობ შენს მინიონას?

— მინიკო, ჩემო კარგო მინიონა!—ტირილ-ნარევი სი-
ცილით ეუბნებოდა ქრისტინე:—მე მკვდარი მეგონე, ჩემო
ძვირფასო, მკვდარი.

ქრისტინემ დაუძახა ქმარსაც და გააცნო მას მინიონა.
სტუმრები შეიპატიჟეს ღარიბულად, მაგრამ სუფთად და კო-
ხტად მორთულ სახლში. აქ მინიონამ უამბო ქრისტინეს და
მის ქმარს ყველაფერი, რაც გადახდა მებულკეს ოჯახი-
დან გაქცევის შემდეგ. ქრისტინე გულმოდგინედ ისმენდა ნა-
ამბობს და ხან ტიროდა, ხან იცინოდა.

— მე ყოველთვის ვამბობდი, რომ მაღალი ღმერთი სა-
მართლიანია, — სთქვა ქრისტინემ:—უპატრონოდ დაგდებულმა
ობოლმა მინიონამ იპოვა მოყვარული აღმზდელი დედა. მე-
ბულკეს ბოროტი კოლი-კი აუტანელ ტანჯვას განიცდის.
ბრუნო, რომელსაც ისე ანებივრებდა და ყოველივე სისაძაგ-
ლეს უდასტურებდა, ქურდი გამოდგა—ერთ ვაჭართან სამსა-
ხურის დროს კასსა გაცარცვა და ამერიკაში გაიქცა. კურტი
ამ ერთი წლის წინად მოუკვდა. ქმარიც სიღამბლით მოუ-
კვდა. შერჩა ერთად-ერთი აფგუსტი, რომელსაც ყველა პა-
ტივსა სცემს, როგორც პატიოსან ყმაწვილს. ამდენი ტანჯვა
და დარდი აწევს დღეს მებულკეს კოლს.

— აფგუსტი სად არის?—იკითხა მინიონამ.

— ის მემუსიკე გახდა. ხშირად გიგონებს, როგორც
შენ, აგრეთვე შენს სკრიპკას და მუსიკალურ ნიქს. ახლა
ივიც კარგად უკრავს. ქალბატონი გუცი ჰუიდის თვის სავა-

ქროს. მენანება, რომ ისეთი კარგი ვაქრობა სხვის ხელში გადავა. ფული რომ მქონდეს—უსათუოდ ვიყიდი.

ასეთ მუსაიფში კარგა ხანი გავიდა. ქრისტინე და მინიონა ველარ ძღებოდნენ ერთმანეთთან ლაპარაკით. ბოლოს ქალბატონმა ბრაუნმა მოაგონა მინიონას, რომ წასვლის დროა.

— დღეს შვიდ საათზე მოდით სამეფო სასტუმროში; მიკითხავთ, ზე მე მიგიყვანთ მინიონასთან, — უთხრა გამოთხოვებისას ქრისტინეს ქალბატონმა ბრაუნმა.

დადგა საღამო ეამი. ვეებერთელა საკონცერტო დარბაზი საუცხოვოდ იყო მორთული. სადღესასწაულოდ მოკაზმული ხალხი ბუზებივით ირეოდა შესასვლელ კარებთან. ქალბატონმა ბრაუნმა შეიყვანა ქრისტინე დარბაზში და დასვა თავის გვერდით, პირველ რიგში. ქრისტინეს, როგორც უბრალო ადამიანს, ეჩოთირებოდა ასეთ ალაგას ჯდომა.

მოაწია მინიონას გამოსვლის დრო. მისთან ერთად გამოვიდა იმისი მასწავლებელი პროფესორიც. საზოგადოება აღტაცებით მიეგება ახალგაზდა მემუსიკე ქალს, რომელსაც ყველა იცნობდა, როგორც გამოჩენილ დამკვრელს. თუ ყველას არ მოესმინა იმისი მუსიკა, წაეკითხა მინც მის შესახებ.

— მინიონა! — დაიყვირა ქრისტინემ და ქალბატონ ბრაუნს ხელი დაუჭირა. — ღმერთო ჩემო, ვინ დაიჯერებს, რომ ეს ის მინიონაა, რომელიც ისე იტანჯებოდა მებულკე ბუცის ოჯახში?! ნეტავი საბრალო მამამისი მოსწრებოდა ამ დღეს.

სანამ მინიონა უკრავდა, დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მწერის გაფრენასაც გაიგონებდით. ყველას სახე გაუბრწყინა მინიონას საუცხოვო დაკრამ/ქრისტინემ მეტისმეტი სიხარულისგან კიდევაც იტირა. როცა სახლში დაბრუნდა, ქმარს ასეთი სიტყვებით გადასცა კონცერტიდან გამოტანილი შთაბეჭდილება:



— ვუგდებდი ყურს და მეგონა, რომ ცაში ანგელოზები გუნდი გალობდა. გალობა იგი იყო ხან მხიარული, იმედით სავსე, ხან-კი სევდიანი და ამაცრემლებელი... შერე რა ლამაზი და მიმზიდველი იყო მინიონა აბრეშუმის სამოსელში, გეგონებოდა — ზღაპრული ფერია არისო!..

*
*

— დედილო! — უთხრა მინიონამ დედობილს წასვლის წინა დღით: — ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. სანამ წავიდოდე, მინდა ქრისტინეს ვასიამოვნო რამეთი. ის ხომ ჩემი მფარველი ანგელოზი იყო.

— ძალიან კარგი, შვილო! — უპასუხა ჭალბატონმა ბრაუნმა და მინიონას შუბლზე აკოცა: — არასოდეს არ უნდა დაივიწყო შენი კეთილის-მყოფელი.

მან გააღო პატარა ყუთი, რომელშიაც ბლომად ეყარა ოქროს ფული:

— აი: ეს ფული სულ შენია, შვილო; მოიხმარე ისე, როგორც გინდოდეს.

მეორე დღეს მინიონამ ქრისტინესთან ერთად ინახულა მამის საფლავი.

— ნეტავი მამაშენი მოსწრებოდა შენს ასეთ ბედნიერებას, — უთხრა ქრისტინემ მინიონას და ამოიოხრა.


— ის მუდამ ჩემთან არის, ქრისტინე! მხედავს და ესმის ჩემი კარგი და ავი. უიმისოდ მე არ შემიძლო გავმზადარიყავი ის, რაც დღესა ვარ. ავიღებ თუ არა ხელში ხკრიპკას, იმისი სახე მაშინვე გვერდში ამოზიდგება. ის მიღიმის და მეუბნება როგორც სიცოცხლეში შეტყობდა ხოლმე:

„კარგად უკრავ, შვილო, კარგად! აბა, კიდევ გაიმეორე!“

მინიონას წასვლის შემდეგ ქრისტიმემ შიილა ფულით
 წერილი შემდეგი წარწერით: „ჩემ ძვირფას ქრისტინეს. ამ
 ფულით შევესე ის თანხა, რომელიც ქალბატონ ბუცის სავა-
 კრო სახლის სასყიდლოდ გაქვს გადადებული. მოიგონე ხან-
 და-ხან უპატრონო ობოლი, რომელსაც ისე უვლიდი და
 მზავრებლთაგან იცავდი. შენი კეთილი გული დაუეციყარი იტ-
 ნება ჩემთვის სამარის კარამდე.“ შენა მინიკო.

ბ. ლ—ძე.





პატიოსანი სიტყვა.



ს ჯერ ქაბუკი იყო; სრული 16 წლის არც-კი იყო, მაგრამ მაინც მიუსაჯეს დახვრეტა. კომუნის რაზმი, სადაც ის მსახურობდა, დაამარცხა ვერსალის ჯარმა. დაატუსაღეს იგი და მასთან კიდევ ათი კაცი. ჯარის უფროსი გაოცდა, როცა ყმაწვილს შეხედა, და ბრძანა შეეჩერებიათ მის შესახებ გადაწყვეტილება.

ყმაწვილი დამშვიდებული იყო. არც მისი დიდრონი თვალები, არც პარიზელი ბავშვის ფერ-მკრთალი სახე არ აცხადებდა მღელვარებას და შიშს. ის თითქო თვალს აღდევნებდა ყველაფერს, რაც ხდებოდა მის გარშემო.

მან გაიგონა საშინელი თოჯინის ხმა, რომლითაც მისი ამხანაგები სიჩქოს გაისტუმრეს და სახეზე არც ერთი ძარღვი არ აუკანკალკდა. მისი დამშვიდებული თვალები შორს იცქირებოდნენ.

ომის გამოცხადებამდე ყმაწვილი ბედნიერად ცხოვრობდა დედ-მამასთან ერთად, პატიოსან მუშებთან, რომლებიც ასწავლიდნენ სტამბის ხელობას. მშვიდობიანი ოჯახი პოლიტიკას არ მისდევდა. ომის დაწყებისათანავე ოჯახის პატრონი მოკ-

კლეს პრუსიელებმა. ყოველნიერი გაქირვება გამოიარა ოჯახმა. სასტიკ ზამთარში ზორცის და პურის დუქნებთან ლოდინმა დაასწავლა საწყალი დედა. მერმე საბრალო ყმაწვილიც გაერია კომუნის რაზმში; სწუბდა, რომ ძმები დაუხოცეს, მზად იყო თავისი სიცოცხლე შეეწირა, მხოლოდ ისე, რომ არავისი მკვლელი არ გამხდარიყო.

ამ უკანასკნელ თვეებში ნახულ-გამოცდილმა სიცოცხლე მოუწამლა. მხოლოდ ის აწუხებდა, რომ დედას სტოვებდა ამ უბედურ ქვეყანაში, იმ დედას, რომელიც ისე უყვარდა ნაზი და კეთილი გულისათვის. იმედი ჰქონდა, რომ დედაც მალე მოვიდოდა მასთან, რადგანაც, ამ ოთხი დღის წინად რომ ნახა, ძრიელ დასუსტებულად ეჩვენა.

ოპი—მწუხარებით ფიქრობდა იგი:—რომ დამაჯერონ და მომცენ ერთი საათის თავისუფლება! გავიქცეოდი დედასთან და მერმე დიდი სიამოვნებით გავწირავდი სიცოცხლეს, რომელიც ამათ ასე სწყურიათ. ჩემ სიტყვას უთუოდ ავასრულებდი. დედის მეტი არავინ მებრალედა. მისი ერთი ნახვა, ნუგეში და ხვევნა—და მერმე ყოჩაღად დაუბედები სიკვდილს!

ყმაწვილი ამ ფიქრებში გართული იყო. მივიდა მასთან ჯარის უფროსი რამდენიმე აფიცრის თანხლებით.

— მაშ, ჩემო კარგო, უნდა ანგარიში გავასწოროთ. იცი—რა მოგელის?

— დიახ, უფროსო; მზად ვახლავართ.

— მართლა მზადა ხარ... არ გეშინია სიკვდილის?

— ცხოვრების უფრო მეშინია. იმდენი უბედურება ვნახე ამ ექვს თვეში, რომ სიკვდილს ვამჯობინებ ასეთ სიცოცხლეს.

— ვნახავ—გაიქცევი თუ არა, რომ მოგცე თავისუფლება.

— სცადეთ, ბატონო უფროსო. გამომცადეთ: ამის ღირსი ვარ. რა ვდარდებათ მხედრებს—ერთს შეტს მოკლავენ, თუ ნაკლებს. ერთი საათის თავისუფლება მეყოფა, და მაშინ ნა-



ავთ, როგორ ავასრულებ ზემ სიტყვას და არ შეტუნდები სიკვდილს.

— ოჰ, შენ სულელი არ ყოფილხარ, მაგრამ მე-კი სულელი გგონივარ. ნუ თუ, განთავისუფლებული, ისევ დაბრუნდები, რომ დაგხვრიტონ; დაბრუნდები, თითქმის ჯამაგირის მისაღებად. ვერ დამარწმუნებ.

— ყური დამიგდეთ, ბატონო. ეგებ თქვენცა გყავთ დედა, რომელიც ყველაზე უფრო გიყვართ ამ ქვეყანაზე. წარმოიდგინეთ, რომ თქვენც ჩემსავით მოგელით სიკვდილი და თქვენი უკანასკნელი ფიქრი დედისაკენ ფრენს. ხომ დალოცავთ იმ კაცს, რომელიც მოგიხერხებთ დედის უკანასკნელად ნახვას. მომეცით, ბატონო, ამის ნება; მომეცით ერთი საათის თავისუფლება, და ვაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ დაებრუნდები და თქვენ ბძანებას დავემორჩილები. განა სიციოცხლეღირს იმად, რომ თავის სატყვას კაცი გადუღგვს?

აღლევებული უფროსი აქეთ-იქით დადიოდა, იწიწნიდა-ულვაშებს და ცდილობდა დამშვიდებულად სჩვენებოდა.

— პატიოსანი სიტყვაო, ბუტბუტებს ეს პატარა ბიჭი, — ისე ამბობს, თითქო ძველი რაინდიო.

უფროსი უცბად შემოტრიალდა და ტყვეს პირისპირ გაუჩერდა.

— შენი სახელი?

— ვიქტორ ური.

— რამდენი წლისა ხარ?

— ივლისში შემისრულდება თექვსმეტი.

— სად ცხოვრობს დედა შენი?

— ხელვილში.

— მამა არა გყავს?

— მოკლულია.

— სად?

— ბურჯის ბრძოლაში.



უფროსი მიუბრუნდა აფიკრებს, თითქო თვალის ტყე თბებოდა მათ. ყველანი აღშფოთებულნი და გაკვირვებულნი იყვნენ.

— კარგი. თანახმა ვარ. შეგიძლია წახვიდე დედის სანახავად. შენ მომეცი პატროსანი სიტყვა, რომ დაბრუნდები ერთი საათის შემდეგ. კარგი—მჯერა. ვნახავ—მართლა მტკიცე ხასიათის კაცი ხარ, თუ მშიშარა ბიჭი. ვიშვებ საღამოდე. თუ რვა საათამდე აქ არ იქნები, მაშინ ვიტყვი, რომ ტრაბახი ხარ და სიცოცხლეს უფრო მეტად აფასებ, ვინე! პატროსნებას. მაშ... წადი.

— მადლობელი ვახლავართ, ბატონო უფროსო! რვა საათზე აქ ვიქნები.

— ნამდვილად?

— რასაკვირველია.

— ვნახავთ.

გაბარებულმა და მადლიერმა ყმაწვილმა ორივე ხელი გაუწოდა უფროსს.

— არა, ახლა არა?—სთქვა მან:—საღამოს, როცა მოხვალ,—გადაგეხვევი მთელი ჯარის წინ, რომელმაც უნდა დაგხვრიტოს,—დაუმატა მკაცრად უფროსმა.—წადი!

ვიქტორი კურდღელივით გაიქცა. აფიკრები იღიმებოდნენ, თან თვალს ადევნებდნენ. ოცი წამის შემდეგ ყმაწვილმა დედის კარზე დაარაკუნა და მეზობელმა, რომელიც დედა—მისს უვლიდა, გაუღო კარი.

აღელვებულმა ქალმა დაიყვირა, რადგან მას მკედრად სთვლიდა.

ყმაწვილს ოთახში შესვლა ეჩქარებოდა, მაგრამ ქალმა გააჩერა.

— ნელა, —სთქვა მან, —დედას სძინავს. ძალიან ავიდ იყო შენი წასვლის შემდეგ: ახლა ცოტა უკეთ არის. ექიმმა სთქვა გუშინ, თუ დაიძინა—მოიკეთებსო. ნუ გააღვიძებ საცოდავს!

როგორ გაუზარდება შენი ნახვა. ყოველ წამს შენ გვე
თხულობს. სულ ლოცულობს, რომ ღმერთმა დაგიფაროს და
ჩვენ სამშობლოს მშვიდობა მისცეს. საუბედუროდ, თითქო
ღმერთს დავაფიწყდით, ღ ხალხი რას არ სჩადის. საშინელება!

ვიქტორი მოუთმენელად ყურს უგდებდა. ისე ეჩვენებო-
და, თითქო ვილას მისუსტებული ხმა უძახოდა. ფეხ-აკრეფით
მივიდა დედის საწოლთან. ის არ მოსტყუვდა. ავადმყოფს
თვალები ფართედ გაეღო.

— ვიქტორ, ჩემო შვილო!—დაიყვირა მან. უსიტყვოდ
მივარდა ყმაწვილი და მოეხვია ყელზე. ის, რომელმაც ისე
კვიად მიიღო სიკვდილის ამბავი, ახლა აქვითინდა. ავადმყო-
ფი, მისი ნახვით გახარებული, ანუგეშებდა მას.

— რისთვის სტირი, ჩემო საყვარელო შვილო? ხომ
არასოდეს არ დამტოვებ. განვლილი დრო კუდ სიზმრად
გვეჩვენება. დავივიწყოთ ყველაფერი, ჩემო კარგო!

დედამ აკოცა შვილს, ჩამოუშვა დაღალული ხელი და
ოცნებობდა უფრო ბედნიერ დღეებზე, რომელიც ორივეს
ელოდა.

მალე პატარა ოთახში აღარაფერი ისმოდა, გარდა დე-
და—შვილის ჩუმი სუნთქვისა. თავისი სისუსტის გამო შერ-
ცხვენილმა ყმაწვილმა ძლივს მოიკრიფა ძალა, აიღო თავი
ბალიშიდან და იგრძნო სიციცხლის სურვილი.

დედას დაეძინა, და ამან ძალა შეჰმატა ყმაწვილს. განგ-
ბამ მოაშორა წუთი მძიმე გამოთხოვებისა. ყმაწვილმა გადს-
წყვიტა გატკევა. ის ნელა დაეკონა დედის შუბლს და რამდე-
ნსამე წამს უყურებდა. მოეჩვენა, თითქო დედა ილიმებოდა.
სწრაფად გაიქცა ოთახიდან და მირბოდა გაუჩერებლივ, სანამ
მიადწია თავის ალავს.

— ასე მალე მორჩი საქმეს!—დაიყვირა უფროსმა, რო-
მელიც სულ არ მოელოდა ყმაწვილის დაბრუნებას.

— მე მოგეცით პატიოსანი სიტყვა.

— მართალია, მაგრამ ასე რად აჩქარდი. შეგეძლოდნენ დენიშე ხანი დედასთან გაგეტარებია და მერმე აგესრულებინა სიტყვა

— საწყალი დედა! ბევრი ცრემლის შემდეგ, რომელმაც გული მომიკლა, იმას ღრმად ჩაეძინა. ზედნიერი იყო მისი ძილი, და მე ვერ მოუცადე მის გაღვიძებას დედამ ჩემ ხვევნაში დაიძინა, დარწმუნებული, რომ არასოდეს არ მოვშორდებოდი განა შემეძლო სიმართლე შეთქვა? განა, როცა გაღვიძებდა, იმდენი ძალა მექნებოდა, რომ დედა დამეტოვებინა? მაშინ რას იფიქრებდით ჩემზე! მე ვაკოცე და გამოვიქეცი. აგერა, აქა ვარ, ბატონო უფროსო, და გთხოვთ მალე მომილოთ ბოლო.

უფროსმა შეხედა ყმაწვილს ნალვლიანად და გაკვირვებით. თვალები ცრემლით აევსო.

— მაშ შეურიგდი განგებას? სიკვდილი არ გაშინებს? — ჰკითხა უფროსმა.

ვიქტორმა ჩუმიად უარი ანიშნა.

— გულადი ყმაწვილი ყაფილხარ, და არ ხარ ღირსი ამ ტანჯვისა, რომელიც ახლა ვადაგბდა. წადი! მაგრამ ჯერ მომეხვიე, ასე, ჩქარა წადი! წადი დედასთან, და გიყვარდეს იგი მუდამ ემს.

უფროსმა მოჰკიდა მხარეზე ხელი, მოაბრუნა და გარედ გააგდო. ვიქტორი ელვის სისწრაფით მიფრინავდა შინისაკენ. დედა — მის ისევ ეძინა. ენატრებოდა დედის კოცნა, მაგრამ მის გაღვიძებას ერიდებოდა, ქალს რაღაც სიზმრები აწუხებდა. ყმაწვილი ფრთხილად იქვე მიჯდა.

უცებ ქალი წამოხტა და ჩაჯდა ქვეშაგებში ყვირილით: — აბატივეთ ვიქტორს! ჩემი შეილია. ოჰ აბატივეთ! ეს შენა ხარ? მართლა — აქა ხარ?

პატარა, გამხდარი ხელებით მოეხვია დედა თავის შვილს და გატაცებით ჰკოცნიდა. მერმე ტირილი წასკდა. ვიქტორმა ძლივს დაამშვიდა თავისი დედა, რომელიც ეუბნებოდა: — ჩემო შევლო, ჩემო ბიჭუნა! დამესიზმრა, თითქო შენ დახვრეტას გიპირებდნენ.

ნიწო ვაჩნაძე.



მარიამ ივანეს ასული დემურია.



მარიამ ივანეს ასული დემურია.

(ნაკადულის დაარსებიდან ათი წლის
შესრულების გამო).



თი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაარსდა ჩვენი საბავშვო ჟურნალი „ნაკადული.“ მარიამ ივანეს ასული დემურია იყო ის შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც პირველად აანთო ჟურნალის თბილი კერა და საქართველოს ბავშვებს გული გაუთბო და შეახალისა.

მოსიყვარულე, მზნობით სავსე ადამიანი — მარიამ ივანეს ასული დემურია ჟურნალის დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი იყო. ვინც იცნობდა და საქმე ჰქონდა ჩვენ განსვენებულ ძვირფას მოღვაწესთან, კარგად ჰგონობდა, თუ როგორ და რით ცოცხლობს ყოველი კეთილი საქმე კაცთა შორის: იმისი შემქნელი, მისთვის სიცოცხლის შიმნიკებელი — ცოცხლად მფეთქავი ადამიანის გულია, რომელსაც დიდი მიჰზიდველი ძალა აქვს.

რაც უნდა სხვა-და-სხვა საქმეში იყოთ გართული, რაც უნდა დარდო გაწუხებდეთ, როცა შეხედებით ადამიანს, რომელიც სხვისთვის ფიქრობს, სხვისთვის ზრუნავს, გავიწყდებათ ყოველთვის თქვენი საკუთარი დარდი და ჭირვარაში და

გრძნობთ თქვენი ადამიანური სინიდისის მხილებას, გესმისთ იმისი მკაფიო ხმა, რომელიც შეტყველებს, რომ ადამიანი სწორედ ამ სხვისთვის ფიქრისა და ზრუნვისათვისაა გაჩენილი ამ წუთისოფელში.

განსვენებული მარიამ დეპურია სწორედ ჩვენი სინიდისის ხორც-შესხმული მხილება იყო. როდესაცკი შეხვდებოდით, თავისდღეში არ გაიგონებდით მისგან ჩივილს, ან წუწუნს რამე თავისი საკუთარი. მწუხარებისა ან დარდის გამო. მისი სამწუხარო და სადარდო ყოველთვის საზოგადო საქმე იყო: — საბავშვო ეურნალი, სახალხო კითხვები, სახალხო თეატრი, როგორ მოეწყოს კარგად, სასურველად ყველა ეს, რათა საესე და კეთილი ნაყოფი გამოიღოს ცხოვრებაში. გესმოდათ მარიამისაგან მისი სიტყვები და გრცხვენოდით, რომ თქვენ მოშორებულხართ ამ საქმეებს, არ ზრუნავთ ხალხისათვის, არ გაწუხებთ მისი მძიმე და სამწუხარო მდგომარეობა. მარიამი ისე მხნედ, ისე დაეინებოთ გთხოვდათ საზოგადო საქმეში დახმარებას, რომ გულში ამ დახმარების სურვილს უმკველად გავიღვიძებდათ, დაგავიწყებდათ საკუთარ საქმეებსა და მწუხარებას და ან კალამს ავალებინებდათ ხელში, ან რაიმე სახალხო საქმეში მონაწილეობას მივალებინებდათ.

ასეთი დიდი და წმინდა ძალა აქვს ადამიანის გულს, რომელიც სხვისთვის სძგერს. ეს გული დღეს დაღუმებულია: ზედ ცივი მიწა აფარია, მაგრამ ჩვენი „ნაკადულის“ და ბევრ სახალხო საქმის სათავე მაინც ის არის: მისი უკვდავი ძარღვი დღესაც იქ მფეთქს და ცოცხლობს.

ილია ნაკაშიძე.





ჩვენნი კომეტები.

2. გრიგოლ ორბელიანი.



ვენ ნიკიერ პოეტს, რაფიელ ერისთავს, ერთი შესანიშნავი ლექსი აქვს: „სამშობლო ხევსურისა.“

ამ ლექსში სხვათა შორის ვკითხულობთ:

„სამშობლო — დედის ძუძუი —
არ გაიცვლება სხვახედა.“

დედა საყვარელი არსებაა, მაგრამ სამშობლო უფრო საყვარელია, რადგანაც ის დედა არის მთელი ერისა.

ყველა მოვალეა უყვარდეს თვისი სამშობლო და მისი წარმატებისათვის ზრუნავდეს.

დედამიწის ზურგზე დღეს ცოტა არის ისეთი ერი, რომლის სამშობლოსაც იმდენი უბედურება და გაჭირვება აეტანოს, რამდენიც ჩვენმა კობტა — კოპწია საქართველომ აიტანა.

უძველესი დროიდან, მოკიდებული ბერძნები ჩვენსკენ მოისწრაფოდნენ, რომელები ჩვენ გვერედნენ, სპარსელები, ოსმალები და ლეკები ჩვენ განადგურებას ჰლამობდნენ, მაგრამ.

„შეთა დროთ ვერა შესცვალეს
 მის გული ანდამატისა.“

ქართველი ერი მაინც არ მოსპობილა და ჩვენი სამშობლო ჩვენივეა,—ჩვენ გვახარებს, ჩვენ გვესაზრდოებს.

რა სასწაულმა მოახდინა, რომ საქართველო, მიუხედავად ურიცხვი მტრების შემოსევისა, ისევ ქართველების სამშობლოდ დარჩა?

ეს სასწაული მოახდინა ჩვენი წინაპრების—ძველი ქართველების—თავგანწირვამდე მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულმა.

ძველმა ქართველებმა თავი გასწირეს, მამული თვისის სისხლით მორწყეს, საქართველო მტერს არ დაენებეს და ჩვენ შეგვიჩაბეს.

დიდებულ წინაპართა მიმართ პატივისცემა და სიყვარული წმინდა ვალია ყოველი ადამიანისა; წინაპართა პატივისცემა-კი მოითხოვს, რომ ჩვენც მათსავით შევიყვაროთ ჩვენი სამშობლო და იმის ასაყვავებლად არავითარი ღონე არ დაეზოგოთ.

აი, ამას გვიქადაგებს გრიგოლ ორბელიანი თავის პოეზიაში:

„სხვა საქართველო სად არის,
 რომელი კუთხე ქვეყნისა?“

საქართველოში პოეტის გულს ყოველისფერი ატკობს, ახალისებს და ახარებს. მოშორდება თუ არა სამშობლოს, ნალღლიანია, მწუხარე, მოწყენილი.

რა ნალველიც უნდა აწვეს პოეტის გულს, საკმარისია მოიგონოს თვისი სამშობლო, რომ მაშინათვე გულს გადაეყაროს და ილტაცებით წარმოსთქვას:



„ჰე, მამულო სასურველო!
 ვინ გახსენოს, რომ მის გული
 არ ათრთოლდეს სიხარულის
 აღტაცებითა აღესილი?
 ვინ გიხილოს დროსა საშინს,
 არ დასთხიოს თვისი სისხლი,
 არ დააკლას თავი თვისი
 შენს დიდებად; ვითა მსხვერპლი?“

გრიგოლ ორბელიანს უღირსად მიაჩნია ისეთი ადამიანი, რომელიც მარტო საკუთარი თავისთვის ცხოვრობს და ქვეყნისათვის-კი არა ზრუნავს.

„ითარცა ცეცხლი მარტოდა სჩანს,
 ველსა ზედა შთომილი,
 რომლისა კვამლი ჰაერში
 ქარის შებერვით არს მქრალი,
 გგრედ იქნების აღზოცილ
 ამ სოფლით მისი სახელი,
 გზა ცხოვრებისა ვინც განვლო
 და არ აღბეჭდა ნავალი!“

როგორ, რა გზით უნდა აღბეჭდოს ადამიანმა თვისი სი-
 ცოცხლე, ან თვისი ნავალი გზა? მას თვისის ცხოვრებითა და
 მოქმედებით სამშობლოსათვის სარგებლობა უნდა მოჰქონდეს.
 თუ ადამიანი მამულისათვის გამოუსადეგარია, მისი ცხოვრება
 სრულებით ფუჭია პოეტის თვალში; ამისთანა ადამიანი რომ
 არ დაიბადოს, ისა სჯობია.

„სოფელი იმად არა ღირს,
 კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
 თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
 ვერა რას არგებს მამულსა.“

ამიტომ გრიგოლ ორბელიანი შენატროდა და ყვანისცემით იგონებდა იმ პირებს, ვინც თვისი სიცოცხლე მამულს შესწირა და ამით მამულის სახელი განადიდა.

„დაუნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად.“

საქართველო ძლიერი, საქართველო განათლებული, საქართველო აყვავებული, ქართველი ერი ბედნიერი—აი რა არის გრიგოლ ორბელიანის ნატურა და ოცნება.

პოეტი ყველა ქართველს მოუწოდებს აქეთკენ და აღიდებს, თაყვანის-ცემით იხსენიებს. ყველა იმ პირებს, რომლებმაც საქართველოს აყვავებას ხელი შეუწყვეს

ის ქებით იხსენიებს საქართველოს პირველ მეფეს—ფარნაოხს, რომელმაც მთელი საქართველო გააერთიანა და ქართული ანბანი შემოიღო, მეფე შირიანს, რომლის დროსაც ქართველმა ერმა კერპთ თაყვანის-ცემას, წარმართობას თავი დაანება და ქრისტეს მოძღვრება, ძმობა და სიყვარული მიიღო.

დიდის პატივისცემით ებურობა პოეტი ვახტანგ გორგასლანს, რომელმაც სპარსელები განდევნა; დავით აღმაშენებელს, რომელმაც საქართველოში ციხე-ქალაქები ააშენა და სწავლა-განათლება გააერთიანა; მაგრამ ყველაზე უფრო საყვარელი და სათაყვანებელი პოეტისათვის თამარ მეფეა.

თამარ მეფის დრო საქართველოსთვის ოქროს ხანა იყო. საქართველოს საზღვრები შავი ზღვიდან კასპის ზღვამდის იყო გაქიშული. ქართველი ერი ძლიერი იყო, განათლებული; დაბეჭდი და ქალაქები ჰყვოდნენ; ხელოვნება შესამჩნევად იყო განვითარებული; თამარის დროს იყო პოეტი შოთა რუსთაველი, რომლის „ვეფხისტყაოსანი“ უკვდავი განძია მთელი ჩვენი დიდებისა და წარმატებისა.



გრიგოლ მარბელიანის ძეგლის პროექტი.
(ქანდაკება ი. ნიკოლაძისა).



ერთი სიტყვით—საქართველო თამარის დროს მოზრდილ, მდიდარ და განათლებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ამიტომაც გრიგოლ ორბელიანი აღტაცებული უგალობს თამარს:

„შენს წმინდა სახეს,
შეენებით სახეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან-ცემითა,
კრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის—გიმზერ!
ვსწუხვარ და გიმზერ,
და ესრედ მზერა მსურს სიკვდილამდე!“

როდესაც პოეტი თვალს გადაავლებს თანამედროვე საქართველოს, მისი გოდება ძლიერია:

თამარ მეფის ყვავილოვანი წალკოტი—საქართველო—

„ალარა ჰშვენის,
ალარ გვიბრწყინავს,
შავ-დროთა ძალით ფერ-წახდენილი!“

სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, გარეშე მტრებმა და შინაურმა უთანხმოებამ საქართველოს ძველი ძალა და დიდება ნელ-ნელა დაამხო და დააქინა.

„წასულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოვლი კეთილი თანა წარიღეს.“

როდესაც გრიგოლ ორბელიანი დიდებულ წარსულს გვერდში ამოუყენებს დღევანდელ ბედკრულ საქართველოს,



მასში სასოწარკვეთილება და უიმედობა ილვიძებს: ჩვენი ბედი საბოლოოდ დაიღუპაო:

„ვა, თუ რაც წახდეს,
ველარა აღსდგეს,
ველარ აყვავდეს ახლის შენებით?
და რაც დაეცა.
ის წარიტაცა
შავმა ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი?“

ამ დროს პოეტის სევდა იმდენად ძლიერია, რომ ის ყოველისფერსა მგმობს, გაჩენის დღესა სწყველის და შეჩვენებას უთვლის, მაგრამ ბოლოს უსასოობას მაინც იმედი სძლევს და პოეტსა სწამს, რომ ქართველი ერი ისევ აღსდგება მკვდრებით, გაძლიერდება, დაწინაურდება და თავის სამშობლოს ააყვავებს.

„შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერთად სხვა ერთა შორის;
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწაელისა შუქით განათებული.“

აი, როგორი სიტყვებით მიმართავს ის თამარ მეფის სურათს.

მამულის სიყვარული, მამულის კეთილდღეობისათვის ზრუნვა და მისთვის თავდადება,—აი, რას ითხოვს გრიგოლ ორბელიანი ყოველი ადამიანისაგან.

შარტო ამითაც არ კმაყოფილდება პოეტი. ის ქებით იხსენიებს ყველას,

„ვინც ძმას დაცემულს
მისცა ხელი და აღადგინა.“

კეთილი საქმე ყოველ ადამიანს წინ უნდა მიუძღოდეს ლამპრად. ვინც კეთილ საქმეს არ მისდევს, მისი სიცოცხლე ფუჭია, ამოა.

„რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი! თუ არ აღვიდგენთ დაცემულს, არ ვეკმნეთ ნუგეშ-მცემელი? თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი? სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?“

პოეტის თანაგრძნობა მუდამ დაჩაგრული მოძმისაკენ იყო. ერთ მის საუკეთესო ლექსში „მუშა ბოჭულაძე“-ში პოეტს აწერილი აქვს მუშის აუტანელი შრომა და მწარე ხვედრი. პოეტი ნატრობს, რომ ყველა ბედნიერი იყოს, ყველა კმაყოფილი თვისი ბედისა.

გრიგოლ ორბელიანი ჩამომავლობით დიდი გვარის შვილი იყო, მაგრამ როდესაც ვისმე გვარი შვილობით თავი მოჰქონდა, გრიგოლს ამგვარი ყოყოჩობა და კულდაბზიკობა ეჯავრებოდა. გლეხი, თავადი, აზნაური—პოეტის თვალში სულ ყველა ერთია; ის აფასებდა კაცს საქმით, ნიჭისა და პირადი ღირსების მიხედვით, და არა ჩამომავლობით.

„მიეცი თ ნიქსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას;
ნიქს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს,
და არა გვარის შვილობას.“

მე ბევრი მინახავს, ვინც ამბობს—სამშობლო და ჩემი ვრი მიყვარსო, და თვისი დედა-ენა კი ხეირიანად არ იცის. გრიგოლ ორბელიანი დიდი თაყვანისმცემელი იყო ქართულ ენისა და დედა-ენის ზედ-მიწევნით ცოდნას ყველასაგან ით-



ზოვდა. ხალხმა თუ ენა დაჰკარგა, თვითონაც დაიღუპება,
 მოისპობაო, ამბობდა ის.

„რა ენა წახდეს,
 ერთი დაეცეს.“

ქართველი ერის ბრწყინვალე მომავლისათვის პოეტს
 აუცილებელ პირობად სწავლა-განათლება მიაჩნდა, რე ამიტომ
 გვიჩვენებს ყველას:

„ზეილნო, გამოჩნდით,
 სწავლითა, საქმით!“

ივ. გომართელი.





გრძელად აღამიანისა გუნებასთან.

ნ ა ო ს ნ ო ბ ა .



წერილი მეხუთე.

არტო კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო, — ამბობს ქართული ანდაზა, და მართალიც არის. მარტო კაცი უღონო და შშიშარაა; მარტო კაცს ჩხშირად სრულიად არც-კი შეუძლია მუშაობა და რისამე გაკეთება. კაცი ისეთი არსებაა, რომ კარგად და ნაყოფიერად მუშაობა მას მხოლოდ სხვასთან ერთად შეუძლია.

ეს ცოტაა: თვით გონებაც აღამიანისა იწვრთნება და მაგრდება მხოლოდ სხვებთან ყოფნით და სხვებთან საქმიანობით, რადგანაც კაცი ისე ვერსად იჩენს უნარსა და ცოდნას, როგორც სხვასთან ყოფნითა და მუშაობით. ამიტომ არის, რომ რაც-კი დიდი საქმეები გაკეთებულა ქვეყნად აღამიანებისაგან, სულ ერთობით და ერთმანერთისაგან სწავლით და ერთმანერთის დახმარებით გაკეთებულა...

ადვილი ასახსნელიც არის ეს: ერთ რომელსამე ადგილას, ვსტკვათ, გამოიგონეს რომელიმე სასარგებლო მანქანა,



მაგალითად—საკერავი მანქანა. ამავე ასეთი მანქანის გამოგონების შესახებ სწრაფად ეფინება მთელ ქვეყანას და ყველანი ცდილობენ რაც შეიძლება მალე შეიძინონ და გამოიყენონ იგი.

რაც დრო მიდის, მით უფრო საგრძობელი და საჭირო ხდება ხალხთა ურთიერთობა, ხალხთა ერთმანერთთან დაახლოვება, დაკავშირება—დამოკიდებულება, თუნდაც რომ სრულიად უცხონი იყვნენ ისინი ერთმანერთისათვის, მაგალითად—რუსები სმენ საქართველოში ნაყიდ ღვინოსა, სკამენ ჩვენში მოყვანილ ხილსა, ხოლო ჩვენ ვხმარობთ რუსეთში გაკეთებულ მაქარს, ვიცვამთ რუსეთშივე მოქსოვილ ჩითსა, თუ მიტკალს და სხვა.

მაგრამ ხალხნი ერთ რომელსამე ადგილას არ ცხოვრობენ: ესენი დაფანტულნი არიან მთელი დედამიწის ზურგზე და ბევრ მათგანს ჰყოფს ერთმანერთისაგან გაუვალი ზღვები, ოკეანები, მთები, მდინარეები, ქაობები, უდაბნოები, ტყეები. უწინდელ დროში ადამიანმა იცოდა ერთი ადგილიდან მეორეში მგზავრობა მხოლოდ ფეხით, ამიტომ, თქმა არ უნდა, რომ მას არც შეეძლო დაეძლია ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ; მაგალითად, არ შეეძლო გადაეღაბა ფეხით ზღვები თუ ოკეანეები, მდინარეები თუ ქაობები და სხვა.

მაგრამ მალე მიხვდა ადამიანი, რომ ამ გადასვლა-გადმოსვლაში ერთი ქვეყნიდან მეორეში მას კარვად შეუძლია გამოიყენოს, მაგალითად, წყლები, ე. ი. წყლის მდინარება. დაფიქრდა ადამიანი ამაზე და გამოიგონა ჯერ ტივი და შემდეგ ნავი და ბევრი სხვა-და-სხვანაირი გემები, ასე რომ, როცა ადამიანებმა ისწავლეს კარგი და მკვიდრი გემების კეთება, მათ დაიწყეს თვით უდიდეს და უუშორეს ზღვა—ოკეანეებში ცურვა და ზღვა—ოკეანეებს იქით მდებარე ქვეყნებთან და იქ მცხოვრებ ხალხებთან მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა.

ასე და ამგვარად ნელ-ნელა და თან-და-თან მოახერხა ადამიანმა მისვლა-მოსვლისათვის საჭირო ნაფ-გემების გაუქმ-თესება. მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლების დაძ-ლევა სჭირია ადამიანს, და ისიც იბრძვის დღე-მუდამ, რომ სავსებით დასძლიოს ეს დაბრკოლებანი. მაგალითად, დროს მიმავლობაში მდინარეები ისე მკირდებიან და თხელდებიან, რომ ადამიანისგან გამოგონილი საუკეთესო გემებიც კი ვე-ღარ დასცურავენ იქ თავისუფლად. რისგან წარმოსდგება ეს, თქვენ უკვე იცით: ტყეების უზომოდ გაჩეხვა იყო ამის უპირ-ველესი მიზეზი..

ადამიანს არ შეეძლო შეპრიგებოდა მდინარეების შემკი-რებას და შეუდგა მეცადინეობას, რომ თავიდან აეცილებია ამისაგან წარმოამდგარი დაბრკოლებანი. ამ აზრით შან დამარ-თა აქა-იქ მდინარეების სათავეებში თვალ-უწვდენი წყალ-თ-საგუბრები. ამ საგუბრებში უმეტ-ნაქლებოდ გროვდება მთე-ლი ზამთარ-შემოდგომის და გაზაფხულის თოვლ-წვიმების წყალი, და ზაფხულში, როცა მეტად კლებულობს წყალი მდინარეში, ამ საგუბრებიდან საჭიროებისამებრ იმდენ წყალს უშვებენ მდინარეში, რომ გემებს კვლავაც თავისუფლად შე-ეძლოთ ცურვა. ასეთი საგუბარი, მაგალითად, გაკეთებულია რუსეთის უდიდესი მდინარის, ვოლგას, სათავეში, ტვერის გუბერნიაში. ამ საგუბარს სიგრძე აქვს 70 და სიგანე 10 ვე-რსი. ზაფხულში, როცა ვოლგაში იმდენად კლებულობს წყა-ლი, რომ იქაური გემები ვეღარ დასცურავენ, აღებენ ამ და-გუბებულ წყალის შემაკავებელ კარებს და უშვებენ იმდენ წყალს, რომ ვოლგას ნახევარი არშინი სიმაღლე ემატება და გემებიც თავისუფლად დასცურავენ...

მდინარეებს სხვანაირადაც აღრმავენ. შოტლანდიაში (ძვეს ინგლისის ჩრდილოეთით), მაგალითად, არის ერთი მდი-ნარე—კლეიდი, რომელიც ერთვის ატლანტიის ოკეანეს დასავლეთით. ამ ასი წლის წინად, მდინარის ძირი ისე


ამოივსო ნიაღვრებისგან ჩამოტანილ ღორღითა, რომ მდინარის სიღრმე ერთი არშინი ვახდა და ნავოსნობა უნდა სრულიად მოსპობილიყო. მაგრამ შოტლანდიელებმა დამართეს თავიანთ გემებზე ეგრედ-წოდებული ამოსახაზავი (ამოსაწმენდი) მანქანები და შეუდგნენ მთელი მდინარის სიგრძეზე ძირიდან ქვიშის ამოღებას და შორს ზღვაში გადაყრას. ასე რომ კლვიდას დღეს 10 არშინი სიღრმე აქვს და ნავოსნობაც მას აქეთ სრულიად თავისუფლად და დაუბრკოლებლად სწარმოებს.

ასევე გააღრმავეს ინგლისში მეორე მდინარე—ტაინი, რომელსაც წინედ ორი არშინი ჰქონდა სიღრმე და ახლაც 11 არშინი აქვს...

გაგონილი გეგმებით მდინარე დუნაის სახელი. ეს უდიდესი მდინარეა ავსტრიის იმპერიაში, მაგრამ იყო ამ მდინარეზე ერთი ისეთი თხელი ადგილი, რომ მხოლოდ მომპრო, პრტყელ-ძირიან ნავებს შეეძლოთ იქ ვაცურვა. ეს ადგილი ძალიან აბრკოლებდა დუნაიზე დიდი გემების თავისუფლად მისვლა-მოსვლას მდინარის მთელ სიგრძეზე, რადგანაც უხდებოდათ საქონლის გადატვირთვა მომპრო გემებზე. ავსტრიელებმა გადასწყვიტეს თავიდან აეცილებიათ ეს დიდი დაბრკოლება, და რა ქნეს? აიღეს და, თუშკა მთელი ის ადგილი პიტალო კლდე იყო, ე. ი. ერთიანი ქვა, გასჭრეს უშველებელი არხი, სიგრძით 2 ვერსი, სიგანით 35 საყენი და სიღრმით 1 საყენი, და მიუშვეს შუგ მდინარე. ახლა ამ არხის წყალობით დუნაიზე მოსიარულე უდიდესი გემებიც სრულიად თავისუფლად მიდი-მოდინ ამ მდინარის მთელ სიგრძეზე. ამ არხის გაჭრა ავსტრიელებს დაუჯდათ 11 მილიონი მანეთი, მაგრამ ამ ფულს, თქმა არ უნდა, ისევ მალე დაიბრუნებენ იმ გადასახადით, რომელსაც გემები წინეთ გადატვირთვაზე ხარჯავდნენ...

II

უწინდელ დროში ადამიანები მოგზაურობდნენ ზღვა-ოკეანეებზე და მდინარეებზე იალქნიანი ანუ ნიჩბიანი, თუ ხოფიანი გემებით. იალქნიანი გემების სატარებლად ზღვა-ოკეანეებზე თუ მდინარეებზე საჭირო იყო ქარი; დაუბერავდა ქარი თუ არა, მეზღვაურები გაშლიდნენ ანძებზე იალქნებს, ე. ი. გაბმულ ტილოებს, ქარი მიაწვებოდა ამ გაშლილ იალქნებს და გემიც გაცურდებოდა იქით, საითკენაც ქარი უბერავდა.



ნიჩბიან, ანუ ხოფიან გემებს-კი თითონ ადამიანი ატარებდა გემების ნაპირებზე მობმული მოგრძო ნიჩბებით, ანუ ხოფებით, ამ ნიჩბებს ნიჩბის მცემელნი უსმენ ანუ აბჯენენ წყალსა და ნავიც წინ მიდის...

მაგრამ მძიმე და უხერხული იყო ცურაობა ასეთი გემებით ზღვებზე და ოკეანეებზე. ხშირად ქარი იქითკენ-კი არ უბერავდა, საითკენაც მეზღვაურს წასვლა ეწიდა, არამედ უბერავდა სრულიად სხვა მხრისაკენ, და ადამიანიც, რა თქმა უნდა, იძულებული იყო იმ დრომდე ელოდნა ქარის ამოვარდნისათვის, სანამ იგი სასურველ მხრისაკენ დაუბერავდა...


ბევრი ფიჭვი და ბრძოლა დასჭირდა ადამიანს ბუნებასთან, სანამ დასძლევდა ამ დაბრკოლებას. პირველი გამოშვანი ისეთი გემისა, რომელსაც ქარის ნებაზე-კი არა, არა-



მედ თითონ ადამიანის ნებაზე შეეძლო სიარული, ქარსა თუ უქარობაში, იყო ამერიკელი ფულტონი. ფულტონმა გაუკეთა გემს თვლები, აამოძრავა ეს თვლები ადუღებული



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ



წყლის ორთქლით და ამგვარად დააწყებინა გემს სიარული ზღვაზე, თუ ოკეანეზე.

პირველ ხანებში ხალხი დიდის უნდობლობით დაუხვდა ფულტონს, ასე რომ, როცა მან ქალაქ ნიუორკში გამოიყვანა თავისი ორთქლით სატარებელი გემი და სთხოვა ხალხს— მობრძანდით, მუქთად გაგასეირნებთ მახლობელ ქალაქშიო, არც ერთი მგზავრი არ მიეკარა და ფულტონი იძულებული იყო მარტო გამგზავრებულყო დარდიანი და ნალელიანი... ასევე მოექცა ხალხი ამ დიდებულ ადამიანს უკან დაბრუნების დროსაც: გამოჩნდა მარტო ერთი კაცი, რომელმაც გაბედა წამოაჰყოლოდა ფულტონს ნიუორკში!..

სულ სხვაა ახლა: წინეთ რომ მთელ თვეებს უნდებოდნენ ევროპიდან ამერიკაში, ან ამერიკიდან ევროპაში გადმოსასვლელად, ფულტონის მიერ გამოგონილ ორთქლით სატარებელი გემით მარტო ნახევარს თვესღა უნდებოდნენ, და ახლა ხომ ისეთ უშველებელ ორთქლით სატარებელ გემებს აშენებენ, რომ ნ—ნ დღეშიაც ახერხებენ მთელი ატლანტიის ოკეანეს გადმოლახვას!..

ასეთ გემებში აღსანიშნავია ერთი, რომელსაც ჰქვია „ქალაქი ნიუიორკი“. ამ ორთქლ-მავალ გემს აქვს 80 საენი სიგრძე და 9 საენი სიგანე, ვადის საათში 35 ვერსსა და ზიდავს 100 ათას ფუტს საქონელსა და ორ ათასზე მეტ მგზავრს. მთელი ეს უშველებელი გემი განათებულია რამდენიმე ათასი ელექტრონისლამპრით და ისეა 16 ნაწილისაგან აშენებული, რომ, თუ ვინიცობაა დაზიანდა რომელიმე ნაწილი და შიგ წყალი შევიდა, დანარჩენ 15—ს ნაწილში ვერ შევა, და გემიც ამის გამო არ იღუბება, არ იძირება. ამ გემის მამოძრავებელი მანქანების მთელი ძალა უდრის ოცი ათას ცხენის ძალას, და ასეთ უზარმაზარ გემს საქვს საშუალებით სრულიად ადვილად ატარებს მარტო ერთი მეზღვაური—მესაქე ..

ივ. როსტომაშვილი.



— მკითხველის —
— წერილები.

ნ ა შ თ ე ბ ი.

I ნ ა შ თ ი.

ლეჩხუბის მაზრის ს. ორბელში, ლაილაშიდან 9—10 ვერსის დაშორებით, ბარში არის ერთი ნაშთი. თვით ნაშთი დანგრეულია. ამბობენ—ეკლესია იყო; შიგ უზარ-მაზარი ცაცხვია ამოსული. წარწერა არ არის. ქვებს შიგნით წითელი რალაც აჩნია, და რა არის—არ იციან. ხალხს არაფერი არ ახსოვს იმის შესახებ. დაახლოებით ქრისტეს დაბადებიდან 700—800 წლებს ეკუთვნისო. ხელს არ ახლებენ, რადგან ხეებით და ბუჩქებით არის შეზღუდული. ნაშთი არავისაგან აწერილი არ არის. უწოდებენ „საყდარს უკან“-ს.

II ნ ა შ თ ი.

სოფ. ორბელშივე არის, ლაილაშიდან 7—8 ვერსის დაშორებით, მეორე ნაშთი, ბარში. წარმოადგენს ციხეს. აქვს ორი კოშკი: ერთი უფრო დიდი, რომელზედაც წაბლის ხის ოთახია მოთავსებული. დახურულია იმავე ხის თიკრით. ორი გვერდი ქარისაგან გადანგრეულა. მეორე უფრო პატარაა. გარშემო ქვის გალავანი აქვს, რამოდენიმე არშინის სიმაღლე.



გალაფანში არის მოთავსებული ერთი პატარა ეკლესია ქვისა, რომელსაც გუმბათი ჩანგრეული აქვს. შიგ, გალაფანშივე, ორი ჭა არის—დულაბით ამოშენებული. ციხეს „საიდუმლო“ (სატუსალო) ოთახი აქვს; დიდი კოშკის წინ არის, აღმოსავლეთის მხრით. ნელ-ნელა ინგრევა. ეკუთვნის ქრისტეს დაბადებიდან 100—200 წლებს, ბრძოლით დაუპყრია ვილაც მუხი ყიფიანს. მუხი ყიფიანის შემდეგ დაუპყრია კაცია დადიანს. ახლა ეკუთვნის უგანათლებულეს თავად მინგრელსკის. სახელად ჰქვიან „ორბელის ციხე“. არც წარწერა და არც მხატვრობა არ არის. შიგ ერთი ზარბაზანი არის ნახევრად გადატეხილი და მიწაში ჩაფლული. მეორე ზარბაზანი ხელმწიფე ნიკოლოზ II ტახტზე ასვლის დროს უსროლიათ და გამსკდარა. ახლა შენახული აქვს მამულის გამგეს როსტომ ბურჯალიანს. აღწერილი არაეისაგან არ არის. ციხის უკანა კედელზე ორი ხელია აშენების დროს გამოყვანილი, ჩვეულებრივ ხელებზე ბევრად დიდი.

III ნ ა შ თ ი

ორბელის მთავარ-ანგელოზის ეკლესიასთან არის ორთვალიანი ქვის აკლდამა; გავსებულია ძვლებით. არაეისაგან არის აღწერილი.

IV ნ ა შ თ ი

შავე ეკლესიის გალაფანში არის ძველი პატარა ეკლესია, რომელსაც უწოდებენ „დედა ღვთისას.“ თავგადანგრეულია. მხატვრობა ბევრია. დასავლეთის მხრით, კარების შემოდ, მთავარ-ანგელოზის ცოტათი დაზიანებული ქანდაკებაა. კედლებში ორი ქვევრია დატანებული. ეკუთვნის 900—1000 წლებს. სურათებს ხელს არ ახლებენ. ნაშთი აღწერილი არ არის.



V ნ ა შ თ ი

ს. ორბელშივე, ლაილაშიდან ნ ვერსის დაშორებით ბარში არის კოშკი. შიგ დიდი მუხაა ამოსული. წარწერა არ არის. აღწერილი არ არის.— ამ მხარეში კიდევ არის ცოტაოდენი ძველი ნაშთები და მათ შესახებ შეეკრებ დაწვრილებით ცნობებს და გააზლებთ.


გ. მუჟაანაძე

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო!

ჩვენ—დაბა სუჯუნის ორკლასიან სამინისტრო სკოლის მოწაფეებმა შეეკრიბეთ ჩვენ შორის ომში დაჭრილთა დასახმარებლად ერთი მანეთი, რომელსაც გიგზავნით დანიშნულებისამებრ გადასაცემად. ეს შემოწირულება მეტად მცირეა. მოუსავლობით და მუდმივი ციებ-ცხვლებით და სხვა ავადმყოფობით შევიწროებულნი მეგრელები წელს ძლიერ ნივთიერ ხელმოკლეობას განვიცდით; იმედი გვაქვს, წრფელი გულით მოძღვნილს მცირედსაც შეიწირავენ.

სია შემოწირველ მოწაფეთა: ქიშვარდი ხოშტარია, დანიელ შამელაშვილი, აბრამ მიხაილაშვილი, ილია ეფრემაშვილი, ოლღა კუჭუბიძე, სოფიო თოფურია, გრიშა თოფურია, დათიკო, არეთა, და თეოფილე ხოშტარეები, მარია კილასონია, შალვა გოგუა, მიხეილ ქანტურია, ანნა გიგინოშვილი, იოსებ ქანტურია, ალფესი სახოკია, მიხეილ ნადარეიშვილი, ლიუდიკ გუგუშვილი, პარასკევა დ ავთანდილ კუციები,— თითო შალრი; დანიელ შამელაშვილი—2 კაპ. აბრამ მიხაილაშვილი—3 კაპ., გრიგოლ დადიანი—3 კაპ. ისაკი შდინარაძე 3 კაპ*).



წერილი უკვე გადაეცა, წმ. ნინოს სახელობის საავადმყოფო მოწაფეებ კომიტეტს.



რ ე ბ უ ს ი



მ
ე



ს
მ



ე



”



,

მ

ტ



,

2+1”



”

ს

ნაცვალ
სახელი.

ს

”




ს

ამ რეზუსის ბოლო იხილეთ მეორე კვარტლე.



ვას რა
უღვას.




გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი .

I

სული არა აქვს, ხშირ-ხშირად
დასცურავს შავსა ზღვაზედა;
შავ ნაფეხურსაც დასტოვებს,
თუ ვაიარა მშრალზედა.

II

წავიდა—ტყავი გამაძრო,
მოვიდა—ღამაფარაო;
ჩემს ბალ—მინდორში მორეკა
თეთრი ბატკნების თარაო.



„ნაკადული“-ს რედაქციაში

ბარათების
ნომერები

და

წერა-კითხვის სასოკადოების წიგნის მდარხიაში იუიფება
შემდეგი წიგნები:

- 1) **ბოძის თავგადასავალი**, — თბზ. შარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყოფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) **რას გვიამბობს ოთახი**, — თბზ. ავენაროუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი**, — ფასი 1 მ. 20 კ.
- 4) **სკრუჯი და მარლერ**, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) **დასურათებული ხაყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ჯ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი 30 კ.
- 6) **ბავშვობა და სიყრმე**, — მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 7) **ორი მხატვარი**, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) **სამშობლო ბუნების ხარკე**, დასურათებული ხაყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი 30 კ.
- 9) **შობა**, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი-ეგოისტი**, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაკავერიანისა, ფასი 5 კ.
- 11) **დათო**, — ირ. ედოშვილისა, დიდების შამაძებელი, თარგმ. ალ. შანშიაშვილისა, ფასი 5 კ.
- 12) **მოთხრობები**, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა 5 კ.
- 13) **ივანე-არაკნი**, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი 75 კ.
- 14) **ბიძია თომას ქოხი**, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიანაშვილისა 1 მ. 25 კ.

1916/67
OFFICE OF THE
LIBRARIAN

അന്യർക്കു വേണ്ടി അന്യർക്കു

1915 വേൾ

“വെട്ടിയൊഴുക്കി”